# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 13 ივლისი 2007 №159 (3082) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავდასხმა და სატრანსფერო თავსხმა
## არველაძე ლევანტეში! დემეტრაძე არსენალში!





## კარლ ცაისი ქართველებით შეივსო




## ეს მოსათმენი აღარ არის: ჰერბერტი დარჩა არისს!




აი, ამბავი: გორდონ ჰერბერტი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი აღარაა. კანადელმა სპეციალისტმა ბერძნულ „არისთან" გააფორმა კონტრაქტი და შარშანდელი რომ არ გამეორებულიყო, საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ჰერბერტის თავკაცობაზე უარი თქვა. ის ნომინალურად რჩება საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში, მაგრამ ასისტენტის სტატუსით.

და ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი? ავსტრალიელი კიმ შილდსი, რომელიც საქართველოს ნაკრების აქამდელი თავკაცის, გორდონ ჰერბერტის თანაშემწე იყო. თურმე შილდსს ჩვენები შარშანაც უპირებდნენ გაპირველკაცებას, მაგრამ მაშინ კიმი იაპონიის ნაკრებში იყო დაკავებული და ჩვენი ეროვნული გუნდის წინამძღოლად ფრანგულ „პო ორტეზთან" ახალკონტრაქტგაფორმებული ჰერბერტი დარჩა.

დარჩა და შეკრების უმეტესობა საქართველოს ნაკრებთან კი არა, ახალ კლუბთან გაატარა. შარშან გაგანია მოსამზადებელ პერიოდში ჰერბერტმა არაერთხელ დატოვა ქართველები და „პო ორტეზში" წაიმუშავა. მას ახლაც იგივეს გაკეთება სურდა — საქართველოდან წინა კვირას წასულმა ჩვენი ფედერაციის თავკაცებს შემოუთვალა, „არისთან" ვაფორმებ კონტრაქტს და თქვენ რა აზრის ხართო... ეს ცინცხალი და გვარიანად მოულოდნელი ამბავი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა გაგვიმხილა და მასთან ინტერვიუს მეთხუთმეტე გვერდზე წაიკითხავთ...



ერნესტ ატესაგა და ბუდჟე ბუსვანგა



ვარლამ კილასონია

# ოლიმპი პორტუგალიელ თავდამსხმელს ელის
## ქივკოვიჩი სამშობლოში დაბრუნდა

ურეკიდან დაბრუნებულმა რუსთავის „ოლიმპმა" გუშინ თბილისში, „ნორჩი დინამოელის" მოედანზე ივარჯიშა. გუნდთან ერთად არ იყო სერბი ნახევარმცველი ვლადან ქივკოვიჩი — ის ოჯახური პრობლემების გამო სამშობლოში წასულა და დღეს-ხვალ დაუბრუნდება გუნდს.

ვარჯიშს ტრიბუნიდან ადევნა თვალი დავით გიგაურმა, თუმც ის უკვე საბოლოდ დაშორდა „ოლიმპს". კიდევ ერთი ფეხბურთელის, კახა მახარაძის საკითხი კი ჯერაც გადასაწყვეტია — გიგაურის დარად, მასაც ვერ გაურკვევია თბილისის „დინამოსთან" ურთიერთობა, თუმცა კახამ გუშინ ივარჯიშა.

„ოლიმპშია" თორნიკე აფციაურიც, რომელიც უკრაინულ „ილიჩევეცში" აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ მოხერხდა და მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა.

და ერთიც: როგორც კლუბის პრეზიდენტმა ბადრი ქარქაშაძემ გვითხრა, კონგოელი თავდამსხმელის ბუდჟი ბუსვანგას გათავისუფლების ფურცელს ყოველ წუთს ელიან მაროკოული „ატლეტიკო ტეტუანიდან".

„ოლიმპის" თავკაცმა ვარლამ კილასონიამ გუნდი საათნახევარი ავარჯიშა, თუმც მსუბუქად — მოთელვა, კვადრატი და პატარა მოედანზე ორკარა და ასე შემდეგ.

ნავარჯიშევს მწვრთნელს მცირე კომენტარი ვთხოვეთ:

„კარგი შეკრება გამოგვივიდა ურეკში. ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და რამდენიმე ტესტ-მატჩიც ვითამაშეთ. ფეხბურთელების საქმისადმი მიდგომით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, „ასტანასთან" მატჩშიც ასე იქნება. 15 ივლისს რუსთავში წავალთ, მანამდე კი თბილისში მოვემზადებით".

და ბოლოს ერთი საინტერესო ამბავიც: რუსთავის „ოლიმპში" პორტუგალიელ თავდასმხმელს ელიან. კლუბის ხელმძღვანელობამ მისი ვინაობა არ გაგვიმხილა, თუმცა ის კი ითქვა, მას საკმაოდ კარგ გუნდებში უთამაშიაო.

**ნუკრი ლოლაძე**

# ბელხატუვმა სტიაუა ვეღარ შეინარჩუნა

„ამერის" საუეფასთასო მეტოქემ, პოლონურმა „გკს ბელხატუვმა" გერმანულ დუისბურგში მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და ვერც ამჯერად მოიგო — რუმინულ „სტიაუას" 2:2 ეთამაშა.



კარლო კოსტლი

არადა, პოლონელები 2:0-ს იგებდნენ — 30-ე და 31-ე წუთებზე კარლო კოსტლიმ დუბლი გააკეთა...

გეორგე ჰაჯის შეგირდები ამის შემდეგლა გამოფხიზლდნენ და დიკას დუბლით ანგარიში გაათანაბრეს.

ჩვენთვის საინტერესო კი „ბელხატუვის" შემადგენლობა უნდა იყოს და ვნახოთ, რომელი ფეხბურთელები ათამაშა ორესტ ლენჩიკმა: *საპულა (ლეხი 46), კოვალჩუკი, ჯაროში, პიეტრაშიაკი, სტოლარჩუკი, ვრობელი, სტრაკი, იარჟემბოვსკი (ვროძიცკი 82), რაჩვალი (ტოშიკი 46), პოპეკი, კოსტლი (ტრუჟკოვსკი 46).*

საინტერესოა, რომ არც ამ მატჩში უთამაშიათ გუნდის ლიდერებს — ტრავმირებულ დავიდ ნოვაკს და ლუკაშ გარგულას, ვისაც ჟურნალისტები სხვა გუნდში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ.

შეგახსენებთ, რომ აქამდე „გკს ბელხატუვი" ორჯერ გაეჯიბრა ბულგარულ „ლიტექსს" (0:0, 0:1), გუშინწინ კი თელ ავივის „მაკაბის" (0:2).

და ერთიც: „ამერი" დღეს გამთენიისას დაბრუნდა ჩეხეთიდან და პოლონელებთან მატჩამდე თბილისში გააგრძელებს მზადებას.

**კახა ზალამბერიძე**

# კახა ალადაშვილი ვიზის მოლოდინში

**კახა ალადაშვილი** ჯერ ისევ კიევშია და „დინამოში" ვარჯიშობს, მაგრამ უკრაინას რომ დატოვებს, გადაწყვეტილი ამბავია.

„რუსეთის ვიზას ველოდები, ცოტა გამირთულდა საქმე, მაგრამ უახლოეს დღეებში უნდა მომცენ და ახალ კლუბში გადავალ" — გვითხრა გუშინ ალადაშვილმა.

როგორც ფეხბურთელი ამბობს, საკმაოდ ამბიციური გუნდი ეპატიჟება, თუმც მისი დაკონკრეტებაა არ ისურვა...

„ჩემთვის მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მქონდეს და მუდმივად ძირითადში ვიყო. თამაშები კიევის „დინამოს" დუბლებშიც მქონდა, მაგრამ ეს დამაკმაყოფილებელი არ არის" — აღნიშნა კახამ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქუთაისის ტორპედო ბიზნესს ელაპარაკება

**დღეიდან** ვარჯიშს დაიწყებს ქუთაისის „ტორპედო".

გასული სეზონის შემდეგ „ტორპედო" რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა. გუნდში არც ფინანსური მდგომარეობაა სახარბიელო და არც გაძლიერება იგეგმება. როგორც შევიტყვეთ, გუნდს ისევ დავით ჯანაშია გაწვრთნის და მთლიანად ადგილობრივი ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული.

„ქუთაისში ყოველთვის მოიძებნებოდა ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელები. კლუბს ახლა მცირე დაფინანსება აქვს და მაღალი მიზნებისთვის ნამდვილად ვერ ვიბრძოლებთ, მაგრამ მალე ეს თაობა თავის სიტყვას იტყვის" — გვითხრა „ტორპედოს" სპორტულმა დირექტორმა ვლადიმერ კაკაურიძემ.

რაც შეეხება ფინანსებს: „ტორპედოს" პროფესიული ფეხბურთის ლიგაში საგარანტიო წერილით ქუთაისის მერიამ უშუამდგომლა. პროფლიგისთვის კი მარტო საგარანტიო წერილი საკმარისი არ არის და ჩემპიონატის დაწყებამდე 20 დღით ადრე კლუბებმა ეს თანხა ანგარიშზეც უნდა აჩვენონ.

— „ტორპედოს" ანგარიშზე პირველ შესატან თანხას ბიზნესმენი ზელიმხან გიორგაძე შეიტანს. ქალაქში კიდევ არიან ბიზნესმენები, რომელთაც ალელვებთ „ტორპედოს" ბედი. რამდენიმე მათგანთან მოლაპარაკებაც მიდის და ერთიანი ძალისხმევით ქუთაისში ფეხბურთი არ მოკვდება — დასძინა კაკაურიძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იენაში კვარტეტი შეიკრა
## კარლ ცაისმა ქართველები დანომრა

გუშინ დილით იენის „კარლ ცაისში" ოთხმა ქართველმა ფეხბურთელმა მოიყარა თავი — გიორგი ონიანს გიორგი სეთურიძე, ილია კანდელაკი და რევაზ ბარაბაძე შეუერთდნენ. მოკლედ, ქართველთათვის კარგად ნაცნობი „კარლ ცაისი" ქართულად ათამაშდება...



ილია კანდელაკი (მარცხნივ), გიორგი სეთურიძე (მარცხნიდან მეორე) და გიორგი ონიანი (მარჯვნივ)

— ყველაფერი გადაწყვეტილია, ახლა მხოლოდ გათავისუფლების ფურცელს ველოდები „ოლიმპიდან" და, სავარაუდოდ, ხვალ მოვაწერ კონტრაქტს ხელს — გვითხრა გუშინ გიორგი სეთურიძემ, როცა გერმანიაში შევეხმიანეთ.

— კონტრაქტი რამდენწლიანი იქნება?

— მეც, კანდელაკიც და ბარაბაძეც, ონიანის მსგავსად, 2+1-წლიანს ვაფორმებთ.

— უკვე ივარჯიშეთ გუნდთან?

— დიახ, საღამოს ვარჯიში ახლახან დამთავრდა — ორმხრივი თამაში გვქონდა.

— კონკურენცია საკმაო იქნება და იმედი გაქვს, რომ ძირითადში დაიმკვიდრებ ადგილს?

— რა თქმა უნდა. თუმცა მწვრთნელთან ამაზე ლაპარაკი ჯერ არ მქონია. ასეც არ იყოს, თუ არ ივარგე, ძირითადში ადგილს არავინ გაჩუქებს.

— გამოდის, „ოლიმპმა" ამაოდ შეგიყვანა საევროთასო განაცხადში...

— „ოლიმპში" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითამაშებდი, თუ აქ ჩამოსვლას ვერ მოვასწრებდი. ასე რომ...

*ჩვენის მხრივ, გაცნობებთ, რომ ონიანი „კარლ ცაისში" 18 ნომრით ითამაშებს, კანდელაკს 24-ნომრიან, სეთურიძეს კი 23-ნომრიან მაისურას გადასცემენ.*

*რა ნომერი ერგება ექსდინამოელ ბარაბაძეს, ჯერჯერობით უცნობია...*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### შვედეთი

ალსვენსკა
XIV ტური

ელფსბორგი 2:0 აიკ

### აზიის თასი 2007

A ჯგუფი
II ტური

ომანი 0:2 ტაილანდი

B ჯგუფი
I ტური

ყატარი 1:1 ვიეტნამი

### ამხანაგური მატჩები

სეონგნამ ილჰვა 1:1 ბოლტონი
სტიაუა 2:2 ბელხატოვი
დინამო (ბუქ) 3:1 მოზერუელი
ვისლა 0:1 ლევსკი
დორტმუნდი 2:1 ანდერლეხტი
კამბური 0:1 ფოლკირკი
კილი 2:4 ჰანზა
ძსამაძსი 0:1 ლანსი
დინამო (ზაგ) 2:1 ვოლფსბურგი
სენტ პატრიკსი 0:1 ტოტენჰემი
გალათასარაი 3:1 იანგ ბოისი
გვადალახარა 5:0 რასინგი



# იმედი მაქვს, ვადუცს ჩვენ დავთარსავთ

**გერმანული შეკრების შემდეგ თბილისის „დინამომ" გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშა და მზადების მესამე ეტაპი დაიწყო. თბილისელები შვებულების შემდეგ ჯერ ბაკურიანში იყვნენ, შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიის ბად-ბლანტერბერგში, ახლა კი შინ დაბრუნდნენ და ლიხტენშტაინის „ვადუცთან" უეფას თასის პირველ შეხვედრამდე აქვე დარჩებიან. მოკლედ, თბილისის „დინამომ" მთავარი უკვე მოილია და მწვრთნელ დუშან უჰრინსაც გუნდის ძირითადი შემადგენლობაც (ცხადია, სავარაუდო შეცვლებით) უკვე განსაზღვრული აქვს. ასევე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „დინამოში" ითამაშებენ გაბონელი მეკარე დიდიე ოვონო და თავდამსხმელი ჟორჟ აკირემი, ვისაც თავისი ეროვნული გუნდის ოფიციალურ მატჩებში 7 გოლი გაუტანია. ამ ორი უცხოელის გარდა „დინამომ", შესაძლოა, ჩეხი მცველი რომან დობეში და კამერუნელი ფორვარდი რაიმონდი ვოუკოუეც შეიმატოს. უჰრინის ამ ფეხბურთელებზე პასუხს ერთ კვირაში იტყვის, მანამდე კი ჩვენი კითხვები იყო...**



ახალი დინამოელები: დიდიე ოვონო და ჟორჟ აკირემი



— ჩინებული პირობები, ხარისხიანი სავარჯიშო მოედნები... მოკლედ, გერმანული შეკრებით კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა ჩემი ყველა დავალება შეასრულეს და დანარჩენს მოგვიანებით ვნახავთ. გერმანიაში ქალაქ იენასთან ახლოს ვიყავით დაბინავებულნი. სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო ექვსი ამხანაგური მატჩიდან სამი სუსტ გუნდებთან ჩავატარეთ, არადა, უკეთესი იქნებოდა, ამ სამიდან ერთი მაინც მეტნაკლებად ძლიერი ყოფილიყო. ეს იყო ერთადერთი, რამაც გერმანული შეკრების შემდეგ გულნაკლული დამტოვა.

**— და ამით გუნდის მომზადების გეგმა აირია?**

— არა მგონია. ვთქვი, რომ ძლიერ გუნდთან ერთი ამხანაგური მატჩი უკეთესი იქნებოდა, ობიექტური მიზეზების გამო ეს არ გამოვიდა, მაგრამ მოსამზადებელი ეტაპზე ვიყავით და ამას ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**— შესაძლო ახალწვეულებზე რას გვეტყვით?**

— მეკარე ოვონო და თავდამსხმელი აკირემი შეგიძლიათ, დინამოელებად ჩათვალოთ, ხოლო მეორე თავდამსხმელის რაიმონდისა და ასევე მცველ დობეშის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

**— როდის? „ვადუცთან" მატჩი ერთ კვირაშია...**

— ეს ფეხბურთელები „ვადუცთან" ალბათ ვერ ითამაშებენ, თუმცა „დინამოში" დარჩებიან თუ არა, ამას სწორედ ერთ კვირაში გეტყვით.

**— ახალი არ არის, გიორგი შაშიაშვილის წასვლის შემდეგ „დინამოს" მარცხენა მცველის პრობლემა აქვს...**

— ასეა. დობეში ამპლუით სწორედ მარცხენა მცველია, მაგრამ მას კიდევ უნდა დავაკვირდე. ამ ფლანგზე სათამაშოდ ოლეგ გუელესიანი კი გვეგულებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გერმანიაში დაშავდა და ველარ ვარჯიშობს. „დინამოში" ახლა ყველაზე პრობლემური სწორედ მარცხენა მცველის პოზიციაა. ვნახოთ, თუ დობეშმა ჩვენი მოთხოვნები დააკმაყოფილა...

**— ორიოდ სიტყვა მეკარე ოვონოზე და ფორვარდ აკირემიზე ვთქვათ...**

— ოვონო საიმედო მეკარეა, ფეხით კარგად თამაშობს და პოზიციას ზუსტად ირჩევს. რაც მთავარია, ის უკვე შეეწყო გუნდს და გრძნობს, თამაში როგორ უნდა გაგრძელდეს. რაც შეეხება აკირემის, მისი კოზირი გახსნაა — ამ თავდამსხმელმა დროულად და ზუსტად იცის ბურთის გათამაშება, სასტარტო სისწრაფე აქვს და ამის ხარჯზე ხშირად მოგებული რჩება. ოვონომ და აკირემმა „კარლ ცაისთან" ძალიან კარგად ითამაშეს, კმაყოფილი ვარ. ეს ფეხბურთელები „დინამოს" აუცილებლად გამოადგებიან.

**— ანუ „დინამოს" კიდევ ორი უცხოელი ჰყავს. უეფას თასის მომავალ მეტოქეზე რას იტყვით?**

— სხვათა შორის, მადლობა „ამერს", რომელიც „ვადუცს" ზამთარში ეთამაშა და ამ მატჩის ფირი მოგვაწოდა. სერიოზული მეტოქე გვყავს, მაგალითად, „ამერი" „ვადუცს" პირველ ტაიმში 3:0 უგებდა, მატჩი კი 3:2 დამთავრდა. „ვადუცი" ლიხტენშტაინის გუნდი კი არის, მაგრამ შვეიცარიაში თამაშობს და კარგი ფეხბურთელები ჰყავს. უეფას თასი გათამაშების ბოლო სამი სეზონიდან „ვადუცმა" სამჯერვე დასძლია ეს ეტაპი, თუმცა იმედი მაქვს, გათამაშებას წლეულს „დინამოსთან" გამოეთიშება. ისე, „ვადუცთან" პირველ მატჩამდე გამარჯვების შანსებს თანაბრად ვაფასებ. ვეცდებით, თბილისური შეხვედრა ჩვენთვის სასარგებლო დიდი ფორით დავამთავროთ.

**— გერმანული შეკრებისა და ამხანაგური მატჩების შემდეგ გუნდის ძირითადი შემადგენლობა უკვე იცით?**

— როგორც გითხარით, მარცხენა მცველის საკითხი არის პრობლემური, სხვა პოზიციებზე კი ლიდერები უკვე გამოჩნდნენ. ამ ეტაპისთვის ოპტიმალური შემადგენლობა მოფიქრებული კი მაქვს, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებისთვის კიდევ ერთი მატჩი იქნება საჭირო. „ვადუცამდე" ფეხბურთელებს ერთმანეთში ვათამაშებ და ძირითად შემადგენლობასაც ამის შემდეგ დავასახელებ.

**ძობა ინასარიძე**

## ვადუცი ისევ დამარცხდა

უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს" მეტოქემ ლიხტენშტაინის „ვადუცმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ითამაშა — „ჯუჯები" ავსტრიის პირველი დივიზიონის „ლუშტენაუს" 1:1 დაუზავდნენ.

„ვადუცი" მაჯეტის გოლით იგებდა, მაგრამ უპირატესობა ველარ შეინარჩუნა.

ეს „ვადუცის" ბოლო საკონტროლო მატჩი იყო „დინამოსთან" თამაშამდე. მანამდე ლიხტენშტაინელებმა დინამოელებთან ხუთი საკონტროლო მატჩი გამართეს, აქედან ერთი მოიგეს და ოთხი წააგეს: „ვილთან" 0:1; ლუშტენაუს „აუსტრიასთან" 2:1; „ციურიხთან" — 3:4; „ვინტერთურთან" 1:2 და „სენტ გალენთან" 0:5.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**სანდრო იაშვილის თბილისის „დინამოდან" შვეიცარიულ „თუნში" გადასვლას იქაურ პრესაში საკმაო აჟიოტაჟი მოჰყვა. შვეიცარიელები მათთვის უცნობ ფეხბურთელზე ინფორმაციებს გამალებით ეძებენ და საინტერესო წერილიც გამოაქვეყნეს...**

# მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩემი განსჯა

## შვეიცარიამ იაშვილი გაიცნო



თუ „თუნის" ახალი თავდამსხმელი, 22 წლის სანდრო იაშვილი იმის შენარჩუნებას შეძლებს, რასაც მისი სტატისტიკა ამბობს, მაშინ ამ გუნდმა ტოპ-ტრანსფერი განახორციელა.

„თუნმა" გასული სეზონის 36 მატჩში ოდენ 30 გოლი გაიტანა და კავკასიელი ბომბარდირი მათ მხსნელად უნდა მოევლინოს.

სანდრო იაშვილი თბილისის „დინამოში" თამაშობდა და გასულ სეზონში 30 თამაშში 27 გოლი შეაგდო. იგი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ხოლო ეროვნული ნაკრების ვარსკვლავმა შოთა არველაძემ თავისი მემკვიდრე უწოდა. ახალ გუნდში რეკომენდაცია კი „სპორტ ვიზიონის" აგენტმა მალხაზ მუსერიძემ გაუწია.

„სანდრომ ნელ-ნელა უნდა წაიწიოს წინ. „თუნი" კი წინ მიმავალი გზისთვის მართლაც საუკეთესო გაჩერებაა" — გვითხრა მუსერიძემ.

მუსერიძეს რვა ქართველ ფეხბურთელთან აქვს კავშირი.

„მათ არა მხოლოდ კარიერის გაკეთება სურთ, არამედ ასევე ცოტაოდენი ფულის შოვნაც — ამბობს იგი — თუმცა თამაში გადამწყვეტია. ფულისთვის რომ მიგვექცია ყურადღება, მაშინ იაშვილი მოსკოვის „სპარტაკში" ან გერმანიის ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში გადავიდოდა".

„თუნის" მწვრთნელი რენე ვან ეკიც კმაყოფილია ახალშეძენილი თავდამსხმელით.

„იაშვილი ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაშია და საოცარი დარტყმა აქვს. სამწუხაროდ, ამჟამად ფიტნესთან დაკავშირებული პრობლემები აწუხებს, რასაც მალე გამოვასწორებთ. მას ხომ უდიდესი პოტენციალი გააჩნია" — ასეთია მწვრთნელის შეფასება.

„მოთამაშის შეფასება და განსჯა მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება" — ამას კი სპორტული დირექტორი გერტშენი ამბობს, თუმცა იაშვილისთვის ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. მისი სვირინგიც ხომ ამის დასტურია: „მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჩემი განსჯა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1+1 და არველაძე ვალენსიაშია!

## შოთამ და ლევანტემ ერთმანეთი აისრულეს



შოთა არველაძე „ლევანტეს" ფეხბურთელია! ქართველმა ბომბარდირმა ვალენსიურ კლუბთან 1+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

არც „აიაქსი" და არც ფულხვავიანი ყატარი — არველაძე გიორგი დემეტრაძის შემდეგ მეორე ქართველი იქნება, ესპანურ პრიმერადივიზიონში რომ ითამაშებს.

34 წლის ფორვარდი „ლევანტეში" თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. გუშინ ახალ კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტიც გამზადდა.

„ლევანტე" სამი წლის წინ გადავიდა პრიმერადივიზიონში, შემდეგ გავარდა, ისევ გადმოვიდა და გასულ სეზონში, მართალია, ძლივს, მაგრამ მაინც გადაურჩა სეგუნდადივიზიონში ჩაქვეითებას.

„ასულგრანას" (ასე უწოდებენ ამ გუნდს) მადრიდის „რეალში" ნამუშევარი მწვრთნელი ხუან რამონ ლოპეს კარო თავკაცობს, წინა სეზონში კი გამორჩეული ფეხბურთელები ფორვარდი სალვა ბალესტა და ნახევარმცველები, იტალიელი დამიანო ტომაზი და ფრანგი ოლივიე კაპო ჰყავდა. ვალენსიურმა კლუბმა ამ ზაფხულს შოთამდე ექვსი ფეხბურთელი გადაიბირა, რომელთა შორის ერთ დროს „რეალში" მბრწყინავი ბრაზილიელი გარემარბი სავიო და „ხეტაფეს" ნახევარმცველი დავიდ კასტედო უნდა გამოვარჩიოთ.

„ასულგრანას" პრეზიდენტმა პედრო ვილიაროელმა კი თქვა, აქცენტს გამოცდილ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ და არველაძე სწორედ ასეთიაო.

„ლევანტე" შარშანაც ცდილობდა შოთას გადაბირებას და წადილი ერთი წლის თავზე აისრულა.

**ილია ნანობაშვილი**

# საიდუმლო ტრანსფერი: დემეტრაძე არსენალში!

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე კიევს უბრუნდება, თუმცა „დინამოს" კი არა, „არსენალის" მაისურას მოირგებს.

ამ ინფორმაციას ერთ-ერთი უკრაინული ვებგვერდი ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ეს ამბავი „არსენალის" ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირისგან შეიტყო. ინფორმატორის თქმით, კონტრაქტი გაფორმებულია, მაგრამ ის არ აკონკრეტებს, როგორ მოახერხა „მეთოფეების" ხელმძღვანელობამ დონეცკის „მეტალურგის" დაყოლიება და არც სატრანსფერო თანხას ასახელებს.

ჩანს, „არსენალი" ქართულად შეუტევს — დემეტრაძეს ხომ „მეთოფეებში" კიევის „დინამოდან" იჯარით გადაყვანილი ოთარ მარცვალაძე დახვდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





# საქართველოს ნაკრები პოსტსაბჭოურ ციფრებში

საკმაოდ მეტყველი, ბევრის მომცველი სტატისტიკაა და ალბათ მკითხველსაც დააინტერესებს. ჩვენ პოსტსაბჭოური ქვეყნების მსოფლიოსა და ევროპის შესარჩევ ციკლებში ნაჩვენები შედეგები ამოვკრიფეთ — სია შედგენილია 1996 წლის ევროშესარჩევიდან. მანამდე, 1994 წლის მუნდიალის შესარჩევზე რუსეთმა კი ითამაშა, თუმც ცხრილში იმად არ შევიყვანეთ, რომ მის გარდა ექსსაბჭოური ნაკრებებიდან არავის უთამაშია.

ყაზახეთის გარდა, მოცემული 11 ქვეყანა მეშვიდე შესარჩევს თამაშობს და ცხრილში მიმდინარე ციკლში ჩატარებული მატჩებიცაა მიმატებული.

განვლილ ექვს შესარჩევში რუსეთის ნაკრებმა სამჯერ მოიპოვა ფინალური ეტაპის საგზური, თითო-თითოჯერ კი ეს ლატვიამ და უკრაინამ მოახერხეს. ისიც ვთქვათ, რომ უკრაინელები ზედიზედ სამჯერ გავიდნენ ჯგუფში მეორე ადგილზე და პლეი ოფში თამაში მოუწიათ, მაგრამ სიტყვა „პლეი ოფთან" მაინცდამაინც ტკბილი ურთიერთობა არა აქვთ — სამივეჯერ წააგეს: ხორვატიასთან, სლოვენიასთან და გერმანიასთან. ერთხელ კი პლეიოფური სიმწარე რუსეთმაც ნახა, როცა მუნდიალ-98-ისკენ იტალიამ გადაუკეტა გზა.

ლატვიური ზღაპარი კი ევრო-2004-ის შესარჩევში მოხდა, როცა ბალტიისპირელები ჯგუფში მეორეზე გავიდნენ და თურქებს სძლიეს გადამწყვეტ მატჩებში.

სხვა არც ერთი პოსტსაბჭოური ქვეყანა მესამე ადგილს არ ასცდენია — საქართველოს მხოლოდ ორჯერ ერგო მესამეობის „პატივი", პირველ ჯერზე ეს ჩვენებისთვის მაქსიმუმიც იყო, რაკიღა ევროპის მომავალი ჩემპიონი გერმანია და განვლილი მუნდიალის ნახევარფინალისტი ბულგარეთი ჩაუბეტონდნენ ჯგუფში. მეორედ კი მესამეობა მუნდიალ-2002-ის შესარჩევზე ვირგუნეთ, როცა იტალია-რუმინეთმა გაგვასწრეს.

ამ ორი შემთხვევიდან ვერც ერთზე ვიტყვით, ქართველებს ფინალურ ეტაპამდე პწკალიღა დააკლდათო, რადგან ბულგარეთმაც და რუმინეთმაც საკმაოდ გვაჯობეს.

მსოფლიო-ევროპა უნახავი ნაკრებთაგან ლიტვაც ორჯერ გასულა მესამეზე, ერთხელ კი ეს ბელარუსმაც შეძლო.

მთლიანად შესარჩევში დაგროვილი ქულებით საქართველო ამ 11 ქვეყნიდან მეხუთე ადგილზეა და რუსეთ-უკრაინას ვერც მიუახლოვდება, აი, ლატვია და ლიტვა კი, შესაბამისად, 14 და 10 ქულით გვისწრებენ.

სამაგიეროდ, ჩვენი ნაკრები მესამეზეა გატანილი გოლების რაოდენობით, ერთით სჯობნის ლატვიას. 75 გოლი 63 მატჩში — ასეთია საქართველოს სტატისტიკა.

მიმდინარე შესარჩევშიც დიდად არ გადასხვაფერებულა აღნიშნული თერთმეტეული: ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი მხოლოდ რუსეთ-უკრაინას აქვთ, დანარჩენები კი, რაც შეიძლება, მაღალი ადგილის დაკავებას ცდილობენ — უმეტესობას, მათ შორის, საქართველოსაც, მესამეობის ილუზიაც არ აქვთ...

63 მატჩში 63 ქულა — საქართველოს ნაკრებს ამ 63-დან 24 პოსტსაბჭოელებთან აქვს დაგროვილი — მათთანაც უარყოფითი ბალანსი გვაქვს, რაკიღა ექვსჯერ მოგვიგია და შვიდჯერ წაგვიგია, მაგრამ ბურთების შეფარდება კია უკეთესი.

მოკლედ, რაც აქ ვერ ვთქვით, ცხრილებში ნახეთ...

**ილია ნანობაშვილი**

### საქართველოს ნაკრები პოსტსაბჭოელებთან ოფიციალურ მატჩებში

| | | |
|---|---|---|
| მოლდოვა | შ | 0:1 |
| მოლდოვა | ს | 2:3 |
| მოლდოვა | შ | 2:0 |
| მოლდოვა | ს | 1:0 |
| ლატვია | ს | 0:1 |
| ლატვია | შ | 2:2 |
| ლიტვა | ს | 4:0 |
| ლიტვა | შ | 2:0 |
| ლიტვა | ს | 0:1 |
| რუსეთი | შ | 1:0 |
| რუსეთი | ს | 1:3 |
| უკრაინა | ს | 0:2 |
| უკრაინა | შ | 1:1 |
| უკრაინა | ს | 2:3 |
| ყაზახეთი | ს | 2:1 |
| ყაზახეთი | შ | 0:0 |
| 16 მატჩი: | +6=3-7 | 20:18 24 |

| ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | ა-96 | 98 | 2000 | 02 | 04 | 06 | 08 | ს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 69 | 41 | 19 | 9 | 148:54 | 142 | 1 | 2 | 3 | 1 | 2 | 3 | 2 | 2,0 |
| 2. უკრაინა | 72 | 32 | 24 | 16 | 90:67 | 120 | 4 | 2 | 2 | 2 | 3 | 1 | 4 | 2,3 |
| 3. ლატვა | 66 | 22 | 11 | 33 | 74:98 | 77 | 5 | 4 | 4 | 4 | 2 | 5 | 7 | 4,0 |
| 4. ლიტვა | 63 | 20 | 13 | 30 | 54:83 | 73 | 3 | 3 | 4 | 5 | 4 | 5 | 5 | 4,0 |
| 5. საქართველო | 64 | 18 | 9 | 37 | 75:104 | 63 | 3 | 4 | 6 | 3 | 5 | 6 | 6 | 4,5 |
| 6. ბელარუსი | 63 | 13 | 14 | 36 | 55:104 | 53 | 4 | 6 | 5 | 3 | 5 | 5 | 5 | 4,6 |
| 7. ესტონეთი | 67 | 13 | 9 | 45 | 52:127 | 48 | 6 | 5 | 5 | 4 | 4 | 4 | 7 | 4,6 |
| 8. სომხეთი | 67 | 10 | 17 | 40 | 47:116 | 47 | 6 | 4 | 5 | 6 | 4 | 6 | 6 | 5,1 |
| 9. მოლდოვა | 61 | 7 | 11 | 43 | 40:135 | 32 | 4 | 5 | 5 | 5 | 4 | 6 | 7 | 4,8 |
| 10. აზერბაიჯანი | 63 | 5 | 10 | 48 | 25:154 | 25 | 6 | 5 | 5 | 6 | 5 | 6 | 7 | 5,5 |
| 11. ყაზახეთი | 20 | 1 | 4 | 15 | 11:40 | 7 | - | - | - | - | - | 7 | 6 | 7,0 |

ქ — ქვეყანა, თ — თამაში, მ — მოგება, ფ — ფრე, წ — წაგება, ბ — ბურთები, ქ — ქულა, ა-96 — ადგილი 1996-ის შესარჩევში, 08 — მიმდინარე ადგილი ევრო 2008-ის შესარჩევში, ს — საშუალო ადგილი შესარჩევებში

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# კოპა ამერიკა 2007

## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

COPA AMERICA VENEZUELA 2007

**ნახევარფინალი**

**მექსიკა 0:3 არგენტინა**

0:1 ჰაინცე (45), 0:2 მესი (61), 0:3 რიკელმე (66პ)

მექსიკა: ო. სანჩესი, კასტრო, მარკესი, მაგალონი, პინტო, არსე, ტორადო (მედინა 46), კორეა (პინედა 83), გუარდადო, კასტილიო, კაჩო (ბრავო 46)

მწვრთნელი: უგო სანჩესი

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გ. მილიტო, ჰაინცე, ვერონი (გაგო 78), მასკერანო, კამბიასო, რიკელმე (აიმარი 86), ტევესი (პალასიო 78), მესი

მწვრთნელი: ალფიო ბასილე

გაფრთხილება: ვერონი, ტორადო, მესი, მარკესი

მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილეთი)

40 000 მაყურებელი

**მატჩი მესამე ადგილისთვის**

14 ივლისი

**ურუგვაი — მექსიკა**

**ფინალი**

15 ივლისი

**ბრაზილია — არგენტინა**




გაბრიელ ჰაინცეს კარატე-გოლი

# მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ

**სუნთქვისშემკვრელი** გოლი გაიტანა ლეო მესიმ უგო სანჩესის 49-ე დაბადების დღეზე და მექსიკის ნაკრების მწვრთნელს ასეთი „საჩუქარი" მიუძღვნა. არგენტინის თავკაცს ალფიო ბასილეს კი ათქმევინა: „ეს მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ".

თითქმის საჯარიმოს ხაზიდან ფეხით, როგორც ხელით, მესიმ ბურთი მიწიდან ააფრინა და მეკარე ოსვალდო სანჩესი პირღია დატოვა — ბურთმა ცისარტყელასავით რკალი მოხაზა და კარში ჩაეშვა. თუ ზეგ ფინალში უფრო ლამაზი არ გაიტანეს, ბარსელონელის გოლი ალბათ ტურნირის საუკეთესო გახდება.

„კოპა ამერიკას" დაწყებამდე ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ფინალში მასპინძლების გასვლა და იქ ბრაზილიის 3:0 დამარცხება იწინასწარმეტყველა. „ნოსტრადამუსობა" პრეზიდენტმა არგენტინა — მექსიკის მატჩის წინაც იკისრა და ამჯერად გამოიცნო.

უგო ჩავესი არგენტინასთან პოლიტიკურ ამბავში ჩახუტებულია, მექსიკას კი ალმაცერად უყურებს.

„ჩვენ სამხრეთამერიკელები ვართ და ფინალიც ჩვენებური უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, არგენტინა მექსიკას დაამარცხებს და იდეალური ფინალი გამოვა: ბრაზილია — არგენტინა" — თქვა ჩავესმა, რომელსაც ფეხბურთზე მეტად ბეისბოლი ჰყვარებია.

მეოთხედფინალში ათკაცა პარაგვაის დამარცხების (6:0) შემდეგ უგო სანჩესი ტურნირის მოგებაზე ლაპარაკობდა. მაგრამ აბა, სად პარაგვაი და სად არგენტინა. მართალია, მექსიკამ ჯგუფში ბრაზილიას (2:0) აჯობა და „კოპას" მოგების ამბიციაც ამის მერე მოემატა, თუმცა ნამდვილი გამოცდა არგენტინასთან ელოდა და ჩაიჭრა.

არგენტინა ლიღინით გავიდა ფინალში — ყველა მატჩი მოიგო, ნახევარფინალში ბრაზილიასავით პენალტებამდე არ მიიყვანა საქმე. ოღონდ მექსიკასთაგან ერთი პენალტი იყო, რომელიც ხუან რომან რიკელმემ გაიტანა და ტურნირზე მეხუთე გოლი მიითვალა. ექვსგოლიანია რობინიო და ფინალი მათი პირადი შეჯიბრიც იქნება. მექსიკასთან დანიშნული თერთმეტმეტრიანი კი კარლოს ტევესმა მოიგონა, ვინც პირველად ათამაშეს ძირითად შემადგენლობაში. გამეორებისას გამოჩნდა. რომ „კარლიტოს" რაფაელ მარკესთან შეხებამდე მოეკვეთა მუხლები და წაიქცა.

მექსიკელები პირველი ტაიმის მიწურულამდე უმკლავდებოდნენ მეტოქის შეტევებს, რომელიც რიკელმეთი იწყებოდა და მისი წაქცევის გამო თამაში არაერთხელ შეჩერდა.

პირველი მომენტი მექსიკელებმა შექმნეს — კაჩომ დაცვის შეცდომით ვერ ისარგებლა და ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ააცილა. ამას ხავიერ ძანეტიმ უპასუხა ფლანგური შეტევით. „ინტერის" მცველმა მეტოქეს ბურთი თავზე გადაავლო და დარტყმა სუსტი გამოუვიდა.

წუთის შემდეგ კარლოს ტევესს შეეძლო გატანა, როცა ორ მცველს გაექცა. 35-ეზე ანდრეს გუარდადო აღმოჩნდა არგენტინელთა საჯარიმოში, ხელს არავინ უშლიდა და როგორღაც მოახერხა ძელისთვის დამიზნება...

ტაიმის მიწურულს მექსიკელთა კარისკენ საჯარიმო დაინიშნა. რიკელმემ ბურთი ძელთან ჩააგდო, სადაც სამ მცველში მოქცეული გაბრიელ ჰაინცე ახტა და ფეხით შეაგდო კარში. მცველები მოჯადოებულებივით იყვნენ, ალბათ ჰაინცესგან თავით დარტყმას ელოდნენ. მან კი ორიგინალურად მოიფიქრა.

იუბილარმა უგო სანჩესმა სამეორეტაიმოდ ორი შეცვლა გააკეთა. ტორადოს ნაცვლად ფორვარდი ალბერტო მედინა შეუშვა, ხოლო კაჩოს მაგივრად — ომარ ბრავო. ათიოდ წუთში ნერი კასტილიოს მიეცა შანსი, მაგრამ მისი დარტყმული ძელს მოხვდა. აი, ამის მერე იყო ლეო მესის შედევრი და მეკარე ოსვალდო სანჩესი, რასაც რიკელმეს პენალტი და მექსიკის ოცნების — პირველად მოეგო „კოპა ამერიკა"— დასამარება მოჰყვა.

„რაც შეგვეძლო, ვცადეთ, მაგრამ სუპერმეტოქე გვყავდა და გვაჯობა" — თქვა იუბილეჩამწარებულმა უგო სანჩესმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩვენ ძველში გაგვახდევინეს!

## ოსკარ ტაბარესმა პენალტების სერია მეორე დღეს გააგრძელა



**ბრაზილიასთან** პენალტებში წაგების მერე ურუგვაის მწვრთნელი ოსკარ ტაბარესი გაცეცხლდა. ნამატჩევ პრესკონფერენციაზე არ მისულა, მეორე დღეს კი ხმა ამოიღო — ბოლო პენალტისას ბრაზილიელი მეკარე დონი წინ გამოვიდა, რაც აკრძალულია და დიეგო ლუგანოს დარტყმული მოიგერია.

„აშკარა იყო, რომ მეკარემ წესი დაარღვია. მას ხაზზე მოძრაობის უფლება აქვს, მაგრამ გამოსვლისა — არა. ამას ვეუბნებოდი მსაჯს ოსკარ რუისს და ყური არ მიგდო — თქვა ტაბრესმა — გარდა ამისა, დონი ყოველი პენალტის წინ ჩემს ფეხბურთელებთან ახლოს მიდიოდა, როცა ისინი ბურთს ასწორებდნენ და რატომღაც ზემოდან დაჰყურებდა. რუისს ვუყვიროდი, ახლოს ნუ უშვებ-მეთქი. მაგრამ ეტყობა, დონის მსაჯზე მეტი უფლებები აქვს. და კიდევ, მაგალითად, ამ სტადიონზე ორი ახალი გასახდელია და ორივე ბრაზილიას დაუთმეს, ჩვენ კი ძველში შეგვიშვეს".

ურუგვაის პირველი პენალტი დიეგო ფორლანს დონიმ ფეხით აუღო. დაღონებულმა ფორვარდმა განაცხადა: „ნერვიულობისაგან მთელი ღამე არ მეძინა. ახლოს ვიყავით ფინალთან და ძალიან გულდაწყვეტილი ვარ, რადგან მოგებას ვიმსახურებდით".

**ვაჟა ხუციშვილი**






ეროვნული ბიბლიოთეკა

# დახურეთ ფანჯრები და გაშიშვლდით!

**როგორც** ჩანს, ლოს ანჯელესში გადასახლება ადამიანებზე სხვანაირად მოქმედებს. სხვანაირი გახდა თვით ვიქტორია ბექემიც — ლაპარაკი დაიწყო იმაზე, რასაც სამი წლის განმავლობაში შორიდან უვლიდა. ისე, ამ უთუოდ ჭკვიანმა ქალმა სხვათა სასეირო მაინც არაფერი თქვა, უბრალოდ, რებეკა ლოსის თემას შეეხო და სულ ეგ იყო, მაგრამ ხომ იცით, როგორ ხდება: ატყდა ამბავი, პოშმა თავისი ქმრის საყვარლებზე ლაპარაკი დაიწყოო და სხვა.

მათთვის, ვინც არ იცის, რა ხდება: ინგლისელი პოპ-ვარსკვლავი ვიქტორია ბექემი ინგლისელი ფეხბურთის ვარსკვლავის დევიდ ბექემის ცოლია, ხოლო რებეკა ლოსი გახლავთ ესპანელი მოდელი ქალი, რომელთანაც, ყვითელი ჟურნალისტების თანახმად, დევიდი ვიქტორიას ღალატობდა. დღეს, როდესაც ქმარი „ლოს ანჯელეს გალაქსის" ფეხბურთელი გახდა, ხოლო ცოლი ჰოლივუდს მიუცუცქდა, ერთ-ერთ არხზე ტელეგადაცემა მოიწყო, პარტნიორებთან ერთად აღადგინა პოპ-ანსამბლი „სფაის გელზი" და იღებს დოკუმენტურ ფილმს „ვიქტორია ბექემი — ამერიკაში ჩამოსვლა", ბედნიერ წყვილს ამერიკულმა ჟურნალმა **W**-მ ჩამოართვა ინტერვიუ. სწორედ ამ ჟურნალში შეეხო ვიქტორია რებეკა ლოსის თემას, ოღონდ აი, ასე:

„ტყუილს არ ვიტყვი, მართლაც მძიმე დრო იყო, მაგრამ მე და დევიდმა ეს დრო ერთად გადავლახეთ. და განა ვინმემ თქვა, რომ ცოლქმრობა იოლი საქმეა? მთავარია, რომ ჩვენ ყველაფერს გავუძელით. იმ დღეებში, როგორც ოჯახი, გავძლიერდით და გავბედნიერდით. ჩვენი ქორწინების პირველ პერიოდს მე დღევანდელი დღე მირჩევნია. რთულ დროზე კი რა გითხრათ... მესმის, ყველა ადამიანს სჭირდება ფული და ყველას თავისი ფასი აქვს..." — როგორც ამბობენ, გაზეთმა, რომელმაც რებეკა ლოსისგან მისი და დევიდის ისტორია იყიდა, 600 ათასი დოლარი გადაიხადა.

„იმ დღეებში ჩვენ გაზეთებს არც ვკითხულობდით, უბრალოდ, ფოტოებს დავხედავდით და მოვისროდით ხოლმე" — დაავგირგვინა ვიქტორიამ.

ამავე ინტერვიუში ვიქტორია და დევიდი თავიანთ ახალ, ლოსანჯელესულ სახლ-კარზეც ლაპარაკობენ. „კასა ბექემ", რომელიც ბევერლი ჰილზში, ტომ კრუზის სამეზობლოში მდებარეობს, ფართობით 13 ათასი კვადრატული ფუტია. აქაა კორტები და აუზი, ხმელთაშუა ზღვის სტილის ვილაში კი ექვსი საძინებელი ოთახია. ამ კარ-მიდამოში 12 მილიონი გირვანქაა გადახდილი. იქ დევიდი და ვიქტორია სამ ვაჟთან, რვა წლის ბრუკლინთან, ოთხი წლის რომეოსთან და ორი წლის კრუზთან ერთად ცხოვრობენ.

„ვეება და განსაკუთრებული არაფერი გვინდოდა — ამბობს პოში — ჩვენი მიზანი იყო, ბავშვებისთვის რაიმე პრაქტიკული შეგვერჩია. გვინდოდა, სახლი ყოფილიყო ნათელი და ჰქონოდა ფართო დერეფანი, რადგან ბავშვებს სკეიტბორდზე უყვართ სრიალი".

და აი, აქ დევიდმა ასეთი რამ თქვა: „ჩვენ კარ-ფანჯარას ვკეტავთ და შინ შიშვლები დავდივართ".

როგორც ჟურნალი **W** გვიხსნის, ასე ფეხბურთელმა იმიტომ იხუმრა, რომ ეთქვა, სახლში მუდმივად მცხოვრები მოსამსახურეები არ გვყავსო, მაგრამ ინგლისურმა გაზეთმა „სანმა" **W**-ს ფურცლებიდან ამოკითხული ეს ფრაზა კონტექსტიდან მოწყვეტით მიაწოდა თავის მკითხველებს. ჩვენც, კიდევ კარგი **W**-ში შევიხედეთ, თორემ მარტო „სანზე" დაყრდნობით ვიფიქრებდით, რომ დევიდი და ვიქტორია შინ მართლა შიშვლები დადიან, თუმცა, ვინ იცის...

იმ მონაკვეთში, სადაც საუბარია, როგორ გაიცნეს დევიდმა და ვიქტორიამ ერთმანეთი, ბექჰი იგონებს, რომ მან თავიდანვე ზუსტად იცოდა, პოში მისი ცოლი რომ გახდებოდა. ერთხელ „მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშის შემდეგ მას და გარი ნევილს ტელევიზორი რომელიღაც არხზე გადაურთავთ, სადაც „სფაის გელზი" მღეროდა. დევიდს ვიქტორიასკენ თითი გაუშვერია და ნევილისთვის უთქვამს: აი, ეს გოგო ჩემი ცოლი გახდება.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ამერიკაში მართვის მოწმობას რომ იღებდა, ვიქტორიას ფოტოაპარატის წინაშე გაბუტულის პოზა მიუღია და გაოგნებული პოლიციელებისთვის უკითხავს, ფოტოს ხომ ასეთს დამიტოვებთ, რაიმეს ხომ არ გადამიკეთებთო.

ჰო, მართლა, ფოტოს ხსენებაზე... **W**-სთვის მიცემულ ინტერვიუს ბექემების გვარიანად შიშველი ფოტოები ახლავს. მართალია, მთლად ისე შიშველი არა, შინ რომ დადიან, მაგრამ...

**პაპუნა ძიდია**

# დანი ალვეშის ლურჯი სურვილი დასჭირდება ჩელსის ულტიმატუმი?



**„ჩელსი"** „სევილიას" ბრაზილიელ დანი ალვეშში 20 მილიონ ევროს სთავაზობს, ანდალუზიელები კი 30 მილიონს ითხოვენ.

მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, ამიტომაც რომან აბრამოვიჩის კლუბმა სამხრეთელებს ულტიმატუმი წაუყენა — თუ „სევილიას" პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდო კვირის ბოლომდე თავის გადამწყვეტ სიტყვას არ იტყვის, „ჩელსი" სატრანსფერო იერიშს უკვე „ტოტენჰემის" პასკალ ჩიმბონდაზე მიიტანს.

ლონდონელებმა იციან, რომ „ტოტენჰემთან" ვაჭრობა ისეთივე ძნელი იქნება, როგორც სევილიელებთან. ამიტომაც აბრამოვიჩის ბანაკი ჩიმბონდას საქმეში ფეხბურთელთა გაცვლის კომბინაციას ჩართავს — ესენი იქნებიან შონ რაიტ-ფილიპსი და გლენ ჯონსონი. თუმცა დანი ალვეშის აგენტი ხოსე როდრი აცხადებს, საქმე პასკალ ჩიმბონდამდე არ მივა, უფრო მოსალოდნელია, „ჩელსიმ" ალვეში იყიდოსო.

„დანი ალვეშის სურვილია, მისი მიზეზით „სევილიას" რაიმე პრობლემა არ შეექმნას. ფეხბურთელს ამ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს, თუმცა „ჩელსის" წინადადებაც საინტერესოა. იმედია, ყველაფერი ორმხრივად სასარგებლოდ დასრულდება" — თქვა როდრიმ.

**ლადო ხომერიკი**



# კია მზად კია

**კია ჯურაბჩიანი** მზად არის კარლოს ტევესის „ვესტ ჰემურ" კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი წარუდგინოს სასამართლოს. დღეს სასამართლოს კარს მიუკაკუნებს „შეფილდ იუნაიტედიც" — შეფილდელებმა შეიტყვეს, რომ პრემიერლიგის ბოსები ტევესის თავიანთ შემადგენლობაში ჩართვის გამო „ვესტ ჰემის" დასჯას არ აპირებენ. ჯურაბჩიანის გარემოცვიდან არგენტინელი ფორვარდის წარმომადგენელი ამბობს: „თუ საჭირო იქნება, საქმესთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას წარმოვადგენთ. ნამდვილად არ ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ეს საბუთები, მაგრამ ცუდი რომ არაფერი გაგვიკეთებია, ფაქტია".

შეფილდელები გასული სეზონის ბოლო ტურში გავარდნენ პრემიერლიგიდან, მაგრამ თავიანთ მდგომარეობას არ ეგუებიან და კატეგორიულად აცხადებენ, რომ ტევესის გამო „ვესტ ჰემს" ქულები უნდა ჩამოერთვას და, შესაბამისად, ლიგიდანაც ლონდონელები უნდა გავარდნენ. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგამ „ვესტ ჰემი" 5,5 მილიონი გირვანქით დასაჯა, რაც „შეფილდს" მეტად ეცოტავა, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გააწყო.

**პაპუნა ძიდია**

# კივუ ინტერნეტით იყიდება

**კრისტიან კივუ** „რომაში" რჩება და მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს „გლადიატორებს". ყოველ შემთხვევაში, თუ „ჯალოროსის" სპორტულ დირექტორ დანიელე პრადეს ვენდობით, ასე იქნება.



„ბარსელონასა" და „რეალში" ჩაშლილი ტრანსფერების მერე, რუმინელ მცველს ალარც „ინტერში" გადასვლა გამოსდის. მისი აგენტები, ძმები ბეკალები, „რომასთან" ფინანსურ დეტალებზე ვერ თანხმდებიან. გარდა ამისა, დედაქალაქელებს „ინტერის" მიერ შემოთავაზებული ფული ეცოტავებათ.

შეგახსენებთ, რომ კივუს „რეალში" გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. მადრიდელები რუმინელში თითქმის 20 მილიონ ევროს იხდიდნენ, მაგრამ მან ძალიან დიდი ხელფასი მოითხოვა და ტრანსფერი ჩაიშალა.

„კრისტიან კივუ კვირას გუნდთან ერთად მომავალი სეზონისთვის მზადებას დაიწყებს. იგი მომავალ ზაფხულამდე „რომაში" რჩება, მერე კი კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს. ვერანაირი შეთანხმების მიღწევა ვერ შევძელით. ჩვენსა და მის აგენტებს, ძმებ ბეკალებს შორის, აზრთა სრული შეუთანხმებლობაა. კივუმ უკვე დაგვაკარგინა 20 მილიონი ევრო, რომელსაც „რეალი" იხდიდა" — თქვა პრადემ.

ჩნდება ლოგიკური კითხვა — რაში აძლევს ხელს „რომას" კივუს შენარჩუნება და გაისად ზაფხულს მისი უფულოდ დაკარგვა, არ ურჩევნია, „ინტერის" წინადადებას დასთანხმდეს და რამდენიმე მილიონი მაინც დარჩეს? უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბათ დედაქალაქელები ვაჭრობენ და ბოლო მომენტამდე იმ იმედით დაიცდიან, რომ ეგებ „ინტერმა" ფასი გაზარდოს. ერთი სიტყვით, თუ იქამდე არაფერი გაირკვა, კივუს გარშემო მითქმა-მოთქმა ალბათ 31 აგვისტომდე გაგრძელდება.

კივუს დაუსრულებელი სატრანსფერო საგით გაბრაზებულმა მავანმა „რომას" ფანმა კი კივუ ინტერნეტში აუქციონზე დააყენა...

„თუ თქვენ მას მიმზიდველი წინადადებით მიმართავთ, ყველგან წამოგყვებათ, სანამ უკეთესი შემოთავაზება არ გამოუჩნდება. შეეჯიბრეთ „რეალს", „ბარსელონასა" და „ინტერს"! გაერთეთ და შესთავაზეთ კივუს დიდი ხელფასი, სანამ არ გაიგებთ, რომ მას უკვე სხვა კლუბთან აქვს მიღწეული შეთანხმება. „რომას" ყველა ქომაგი დაგითმობთ მას სიამოვნებით და უფასოდ" — ნათქვამია მავანი ფანის განცხადებაში.

**ბოკა ბანდელაკი**

# კმაყოფილი რანიერის მოლოდინი
## იუვემ ნედვედიც დაითანხმა

**ტურინის** „იუვენტუსმა" მომავალი სეზონისთვის მზადება გუშინ დაიწყო. „ბებერი ქალბატონის" მწვრთნელი კლაუდიო რანიერი გუნდის ახლანდელი შემადგენლობით კმაყოფილია და ერთი სული აქვს, როდის დაიწყება მომავალი სეზონი.



იუვენტუსელები ოთხშაბათს დილით, ვინოვოს საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბნენ. მოგვიანებით სამთო ქალაქ პინცოლოში გადაინაცვლეს და პირველი ვარჯიშიც იქ გამართეს.

კლაუდიო რანიერი: „ძალიან ბედნიერი ვარ. ბიჭები, ძველებიც და ახალწვეულებიც, დიდი შემართებით არიან და ვარჯიში ენთუზიაზმით დაიწყეს. ყველას გვინდოდა, ეს გადახალისებული გუნდი საქმეში გვენახა და გახარებულნი ვართ, განსაკუთრებით მე. შეკრული კოლექტივი და გუნდური სული ყოველთვის უალრესად მნიშვნელოვანი იყო „იუვენტუსისთვის". ახლაც კარგად მახსოვს მარჩელო ლიპის „იუვე", რომელმაც ტრიუმფს თავისი შემართებით, შეუპოვრობითა და გამბედაობით მიაღწია. ჩვენ სწორედ ეს გვჭირდება. პირველ რიგში კლუბში სათანადო ატმოსფერო უნდა შევქმნათ მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის. ასევე უშუალოდ მოთამაშეებს შორის".

კითხვაზე, თუ რა გეგმები აქვს „იუვენტუსს" მომავალ სეზონში და რას ისახავენ ტურინელები მიზნად, რანიერიმ პასუხს თავი ტექნიკურად აარიდა და ზოგადად ისაუბრა...

„მომავალ სეზონზე საუბარი წინას გათვალისწინებით შეუძლებელია, რადგან მაშინ სერია B-ში ვიყავით. სკუდეტოს მოპოვების ფავორიტებად სხვა კლუბები ითვლებიან, ჩვენ კი უნდა შევეცადოთ, მათ წინაამდეგობა გავუწიოთ. 2005 წლის „იუვე" ბრწყინვალე იყო, მაგრამ ახლა ახალი გუნდი გვყავს და ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. ასეა თუ ისე, ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რაც ხელმძღვანელობამ აქამდე გააკეთა. რამდენიმე კარგი ტრანსფერი განვახორციელეთ და ერთი სული გვაქვს, როდის დაიწყება მომავალი სეზონი" — განაცხადა რანიერიმ.

თავისი და სხვა ხელმძღვანელების მუშაობით კმაყოფილია „ბებერი ქალბატონის" გენერალური დირექტორი ჟან-კლოდ ბლანიც: „ერთი წლის წინ სერია B-ში ვიყავით, მინუს ქულებით. მეტიც, ერთი თვის წინაც არ გვყავდა ასეთი კარგი გუნდი. ახლა კი მშვენიერი შემადგენლობით სერია A-ში ვართ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, კმაყოფილი და ბედნიერი ვარ. ჩვენ შევქმენით ახალგაზრდა გუნდი, რომლის საშუალო ასაკი 25 წელია. გვყავს ბევრი ლეგიონერი და ოთხი მსოფლიოს ჩემპიონი, ასევე ფინალისტი დავიდ ტრეზეგე. მწვრთნელიც და ფეხბურთელებიც მაღალი კლასისანი არიან. ახლა მათ ეს მინდორზე უნდა დაამტკიცონ. მჯერა, თუ თავდაუზოგავად ვიშრომებთ, დავჯილდოვდებით კიდეც. ვცდილობდით, კლუბისთვის სასარგებლო ფეხბურთელები კარგ ფასში გვეყიდა და, ვფიქრობ, ჩვენი საქმე 98 პროცენტით გავაკეთეთ".

ჯანლუიჯი ბუფონის, დავიდ ტრეზეგესა და მაურო კამორანეზის შემდეგ, ტურინელებმა ახალ კონტრაქტთან დაკავშირებით პაველ ნედვედთანაც მიაღწიეს შეთანხმებას. ჩეხი „ბიანკონერიში" კიდევ ერთი წლით რჩება, ანუ „იუვენტუსმა", ფაქტობრივად, ყველა ლიდერი შეინარჩუნა.

„პაველის შემთხვევაში ცოტა სხვაგვარად ვიმოქმედეთ — ამბობს ბლანი — იგი ჩვენი უფრო ხანგრძლივი პროექტის მონაწილეა. საბედნიეროდ, ბოლოს და ბოლოს, ორივე მხარისთვის მისაღებ შეთანხმებას მივაღწიეთ. ასე რომ, „იუვენტუსის" სახეს კვლავ იგი, ალექს დელ პიერო, ჯიჯი ბუფონი, მაურო კამორანეზი და დავიდ ტრეზეგე წარმოადგენენ".

გრძელდება მითქმა-მოთქმა „იუვეში" ფაბიო კანავაროს შესაძლო დაბრუნებაზეც. 33 წლის მცველი „რეალიდან" ფაბიო კაპელოს გაშვებით უკმაყოფილოა, დიდი შანსია, ბერნდ შუსტერთან საერთო ენა ვერ გამონახოს და ამიტომ „ბიანკონერიში" დაბრუნება ან მშობლიური ქალაქის კლუბ „ნაპოლიში" ჩარიცხვა უნდაო. თუმცა ბლანმა ეს ვარიანტი გამორიცხა...

„როცა ახალი მცველის ძებნა დავიწყეთ, კანავარო ჩვენს სიაში იყო. თუმცა მან არჩევანი შარშან ზაფხულს უკვე გააკეთა. შემდეგ ჩვენ სხვა გზით წასვლა ვარჩიეთ და საბოლოოდ ჟორჟე ანდრადემდე მივედით" — თქვა ბლანმა.

**გიორგი ბაკაბაძე**

# უტაკა პორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„პორტსმუთმა"** ორი თავდამსხმელი იყიდა: ჯონ უტაკა „რენნიდან" და დევიდ ნაჯენტი „პრესტონიდან".

უტაკას ფასი უცნობია, ხოლო 22 წლის ნაჯენტში ექვსი მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ორივემ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჰარი რედნაპის გუნდთან.

ნაჯენტის დებიუტი ინგლისის ნაკრებში ანდორასთან მატჩში შედგა და გოლიც გაიტანა.

# არ იყიდება!

**„ფიორენტინასა"** და „ნაპოლის" სასურველ ფეხბურთელს, ანტონიო ნოჩერინოს „იუვენტუსი" ამ ზაფხულს არ გაყიდის — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ.

იტალიის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშემ ამას წინათ „იუვესთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გასულ სეზონში კი „პიაჩენცაში" იყო განათხოვრებული.

# ბრაზილიელი რომ იყოს...

**მექსიკის** ნაკრებისა და „ატლასის" ნახევარმცველი ანდრეს გუარდადო „დეპორტივომ" იყიდა. ნიჭიერ მარცხენაფლანგელში ესპანურმა კლუბმა 7 მილიონი ევრო გადაიხადა.

მისი შეძენა ჰოლანდიურ პსვ-საც სურდა, მაგრამ „დეპორმა" უკეთესი პირობები შესთავაზა.

21 წლის ფეხბურთელი კონტრაქტზე ხელს „კოპა ამერიკას" დასრულების შემდეგ მოაწერს.

„გუარდადო ბრაზილიელი ან არგენტინელი რომ იყოს, ხუთი მილიონით მეტი ეღირებოდა" — თქვა „ატლასის" პრეზიდენტმა.

# ოცმატჩიანი დრეობა

**ვენესუელაში** ქეიფისთვის ჩილეს ნაკრების ექვსი ფეხბურთელი 20 მატჩით გუნდიდან მოკვეთეს.

ბრაზილიასთან მეოთხედფინალური მატჩის წინ, ჩილელებმა სასტუმროში ღრეობა გამართეს და მეორე დღეს თამაში 1:6 წააგეს.

ღრეობაში მონაწილეობა დაუმტკიცდათ ხორხე ვალდივიას, ალვარო ორმენიოს, როდრიგო ტელოს, ხორხე ვარგასს, პაბლო კონტრერასს და რეინალდო ნავიას.

ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მოქეიფეები ვერც კუთვნილ პრემიას მიიღებენ და მომავალში ნაკრების კაპიტნობასაც ვერ ეღირსებიან.

# ფაულერი კენგურუს ესტუმრა

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი ფორვარდი რობი ფაულერი ავსტრალიაშია და „სიდნეისთან" კონტრაქტზე ვაჭრობს. 32 წლის თავდამსხმელს „ლივერპულთან" ხელშეკრულების ვადა დაუსრულდა და თავისუფალი აგენტია. მას პრემიერლიგური კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ავსტრალიაში თამაშზე ფიქრობს — ამ კვირას სიდნეიში გაატარებს და გადაწყვეტილებასაც მიიღებს.

„სიდნეიში" 2005-2006 წლებში დუაიტ იორკი თამაშობდა და ჩემპიონიც გახდა, მერე კი „სანდერლენდში" გადავიდა.

# გი რუმ შრომა მოიგო

**68 წლის** გი რუმ შრომის უფლებისთვის ბრძოლა მოუგო საფრანგეთის ფეხბურთის ლიგას. ლიგამ „ლანსში" მწვრთნელობა აუკრძალა, რადგან 65-ს გადაცილებულია, მაგრამ რუმ გაასაჩივრა ოლიმპიურ-სპორტულ კონსილიუმში და შრომის უფლება მიიღო.

მან ერთი თვის წინ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ლანსთან".

# შმიცერი ერთწლიანში

**ვლადიმირ შმიცერმა** დაადასტურა, რომ პრაღის „სლავიასთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა გახანგრძლივების პერსპექტივით.

34 წლის ჩეხი ნახევარმცველი 1996-ში წავიდა „სლავიადან" „ლანსში", საიდანაც „ლივერპულმა" იყიდა და 2005 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ბოლო ორი სეზონი კი „ბორდოში" გაატარა.

# ჩაფარი ლი

**შოტლანდიის** ნაკრებისა და „უიგანის" ფეხბურთელი ლი მაკკალოხი „რეინჯერსმა" 2 მილიონ 500 ათას გირვანქად იყიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

ეს უკვე მერვე შენაძენია „ჩაფრებისა", რომლებმაც მაკკალოხამდე კირკ ბროდფუტი, ალენ გოუ, გრემ სმიტი, დამარკუს ბისლი, ჟანკლოდ დარშევილი, კარლოს კუელიარი და როი კეროლი გადაიბირეს.

# პრეზიდენტის სიკვდილი

**ბულგარეთის** მეორე ლიგის კლუბის „აკადემიკ 1947"-ის პრეზიდენტი მალოლ ველევი სოფიის ცენტრალურ ქუჩაზე მოკლეს. 49 წლის კაცს ტყვია თავში ესროლეს. მედიის ცნობით, ველევი სათამაშო, სამშენებლო, ტურიზმისა და სპორტის ბიზნესში საქმიანობდა და სოციალისტურ პარტიასთან იყო დაახლოებული. ის მორიგი მაფიოზური გარჩევის მსხვერპლია. ორი თვის წინ პლოვდივის „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ალექსანდრ ტასევი საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს. როგორც ამბობენ, ტასევი ნარკობიზნესში იყო გარეული.

**ვაჟა ხუციშვილი**




AFP

ალფრედო დი სტეფანო, პეპე და რამონ კალდერონი

# პეპე რეალმა წარადგინა

**ისევე,** როგორც კრისტოფ მეცელდერმა, ბრაზილიელმა პეპემაც „რეალში“ თავის პრეზენტაციაზე ესპანურად ისაუბრა და „სამეფო კლუბს“ ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა, „რეალს“ ნდობისთვის მადლობა ვუთხრა. იმედი მაქვს, ამ დიდ კლუბში წარმატებას მივაღწევ“ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომლის სრული სახელია კეპლერ ლავერან დე ლიმა ფერეირა.

ბრაზილიელმა სამეფო თეთრების მაისურა კლუბის პრეზიდენტ რამონ კალდერონისგან მიიღო.

„პეპეს შეძენას მსოფლიოს საუკეთესო გუნდები აპირებდნენ. იგი სრულყოფილი ცენტრალური მცველია და გასაკვირი არ არის, რომ დიდევროპულმა გრანდებმა პეპესთან კონტრაქტის გაფორმება მოინდომეს. მაგრამ ახლა ეს ფეხბურთელი ჩვენთან არის და „რეალის“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს“ — თქვა პრეზენტაციაზე რამონ კალდერონმა.

„რეალის“ თავკაცი ამაზე არ შეჩერებულა და ისიც აღნიშნა, პეპე თავისი გონივრული თამაშით, ფიზიკური მონაცემებითა და პროფესიონალიზმით, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველიაო.

„ის 24 წლისაა, მაგრამ საფეხბურთო ოსტატობით თავის ასაკს მნიშვნელოვნად უსწრებს“ — განაცხადა კალდერონმა.

შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ „პორტუს“ პეპეში 28 მილიონი ევრო გადაუხადა. ბრაზილიელი მომავალი 5 სეზონის განმავლობაში ითამაშებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

**ლადო ხომერიკი**

## კასანოს თურქული უარი

**ანტონიო კასანომ** „ფენერბაჰჩეში“ გადასვლა იუარა და იტალიაში დაბრუნება სურს. მადრიდის „რეალს“ ფეხბურთელში თურქებმა 3 მილიონი გირვანქა შესთავაზეს და ესპანელები ყაბულს იყვნენ, მაგრამ კასანომ „ფენერში“ თამაში იუარა.

„რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა განაცხადა: „არა მგონია, მან მომავალი სეზონი „რეალში“ დაიწყოს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კასანო ცუდად იქცეოდა“.

იტალიელ ფორვარდს კარიერის სამშობლოში გაგრძელება უნდა, სადაც „ნაპოლი“ ეპატიჟება.

## ტაიბი ქვევით ჩავიდა

**მეკარე** მასიმო ტაიბი სერია B-ს „ასკოლიში“ გადადის, რადგან „ტორინოსთან“ კონტრაქტი გუშინ დაუსრულდა და გახანგრძლივება არ შესთავაზეს.

ტურინელებმა „ლაციოდან“ მატეო სერენი გადაიყვანეს და ტაიბიც ამიტომ აღარ სჭირდებათ.

მეკარეს „ტორინომდე“ „ატალანტაში“, „რეჯინაში“, „მილანსა“ და „მანჩესტერში“ უთამაშია.

## შვედს შვედი უნდა

**„ფიორენტინას“** ფრედერიკ ლიუნგბერგის ტრანსფერი ალბათ არ გამოუვა, რადგან შვედს „მანჩესტერ სიტი“ ეპატიჟება, რომელსაც სვენ გორან ერიკსონი წვრთნის. სიტელებმა „არსენალს“ ფეხბურთელში 6 მილიონი გირვანქა შესთავაზეს.

ერიკსონის აზრით, ლიუნგბერგი ამჟამად საუკეთესო შვედი მოთამაშეა.

შეგახსენებთ, რომ „სიტი“ ტაილანდელმა ტაქსინ შინავატრამ იყიდა და ტრანსფერებისთვის ერიკსონს 50 მილიონი გირვანქა ჩაუთვალა.

## ფოჯას ნაცნობი უხარია

**„კალიარიმ“** „ლაციოდან“ პასკუალე ფოჯა ერთი წლით ითხოვა. ნახევარმცველმა გასული სეზონის მეორე ნახევარი „რეჯინაში“ გაატარა.

„დიდი მადლობა „კალიარის“ მწვრთნელ მარკო ჯამპაოლოს ნდობისთვის და ვეცდები, მისი იმედი გავამართლო. დარწმუნებული ვარ, შესაძლებლობებს ამ გუნდში უკეთესად გამოვავლენ, რადგან ჯამპაოლოსთან ადრეც მიმუშავია და ერთმანეთს კარგად ვიცნობთ“ — თქვა 24 წლის ფოჯამ.

## ტოტო დარჩა

**ანტონიო დი ნატალემ** „უდინეზესთან“ კონტრაქტი ხუთი წლით გაახანგრძლივა. 29 წლის ფორვარდის „რომაში“ გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ მან „უდინეზეში“ დარჩენა ისურვა.

„ჩვენ გვყავს ძალიან კარგი გუნდი, მწვრთნელი და კარგ სეზონს ველით“ — განაცხადა „ტოტომ“, რომლის მეწყვილეც შეტევაში ფაბიო კალიარელა იქნება. ისინი ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები არიან.

## ჩრდილოელი ჩრდილოელთან

**„საუთჰემპტონის“** მცველი კრის ბაირდი „ფულემში“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 25 წლის ჩრდილოირლანდიელში ლონდონელებმა 3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს.

მისი გადაბირება „სანდერლენდსაც“ სურდა, მაგრამ მცველმა „ფულემი“ არჩია, რომელსაც ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ლოური სანჩესი თავკაცობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# იმპერატორის პირობა

## ადრიანო რეალის და მილანის მადლობელია



**მილანის** „ინტერის“ ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო გუნდს სარდინიაზე შეუერთდება. იქ „ნერაძურიმ“ სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი დაიწყო.

„იმპერატორს“ იმედი აქვს, რომ ძველებურად ათამაშდება და მომავალ სეზონში კვლავ მოიპოვებს ფანებისა და „ინტერის“ ხელმძღვანელობის სიყვარულსა და ნდობას.

„თავს კარგად ვგრძნობ. მინდა, ძველებურად ავთამაშდე, მაგრამ ამისთვის ბევრი უნდა ვიმუშავო. პირველად ბოლო ოთხი წლის მანძილზე დავისვენე კარგად და ახლა შრომისთვის მზად ვარ. ყველას ნდობა უნდა აღვიდგინო. არ მსურს, ჩემპიონატის დაწყებამდე რაიმე დაპირება გავაკეთო, მაგრამ იმედია და მჯერა, რომ მომავალ სეზონში ბევრად მეტ გოლს გავიტან, ვიდრე წინაში შევძელი“ — თქვა ადრიანომ.

შეგახსენებთ, რომ „იმპერატორს“ დღემდე უკავშირებენ მადრიდის „რეალსა“ და „მილანს“, თუმცა მისი სიტყვებიდან გამომდინარე, იგი „ინტერში“ რჩება.

„რასაკვირველია, ძალიან მეამაყება და მსიამოვნებს „რეალისა“ და „მილანის“ ინტერესი, მაგრამ ბრაზილიის მერე „ინტერი“ ჩემი მეორე სახლია და მინდა, აქ დიდი ხნით დავრჩე. „ნერაძურიში“ თავს ბედნიერად ვგრძნობ, რისთვისაც მადლობას ვუხდი კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის და ყველას. ვეცდები, წარსულში დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეორო და მაქსიმალურად კარგად ვითამაშო“ — დასძინა 25 წლის ადრიანომ.

**კოკი კანდელაკი**

# პოლონელების თავგადასავალი ვილნიუსში

## უეფამ ლეგიას ევროპა ჩამოართვა

**ვარშავის** „ლეგია“ ინტერტოტოდან მოკვეთეს და მომდევნო ხუთ სეზონში საევროთასო ადგილს თუ მოიპოვებს, ისევ გამოტოვებს ევროპულ ტურნირს. ასე რომ, უჯობს, მომავალ სეზონშივე დაიკავოს ევროადგილი და დისკვალიფიკაცია მალევე მოიხადოს.

ლიტვურ „ვეტრასთან“ ჩაშლილ მატჩში კი, რომელშიც ვილნიუსელები შინ 2:0-ს იგებდნენ, „ლეგიას“ 0:3 წაგება ჩაეთვალა და „ვეტრა“ მომდევნო ეტაპზე „ბლექბერნს“ შეხვდება. ვარშაველი კლუბის პრესმდივანმა მონიკა რეპიზანტმა განაცხადა, რომ ასეთი სასჯელი ნამეტანია და აუცილებლად გაასაჩივრებენ. უეფამ ვადა 14 ივლისამდე მისცა.

გასულ კვირას ვილნიუსში, როცა „ვეტრა“ 2:0-ს იგებდა, შესვენებისას რამდენიმე ასეული პოლონელი ფანი შევარდა მოედანზე და პოლიციასთან ომი გააჩაღა. ერთი ლიტველი ფანი დაიჭრა და ორი პოლიციელი დაშავდა. თამაში, ცხადია, შეწყდა და სამართალდამცავებმა პოლონელი მოჩხუბრები სტადიონიდან გაყარეს. 26 სტუმარი დააკავეს და მათგან 10 ორშაბათს გაათავისუფლეს, დანარჩენებს კი ხუთიდან თხუთმეტ დღემდე პატიმრობა მიუსაჯეს, თან თითოს 87 ევრო ჯარიმა გადაახდევინეს.

„ვეტრამ“ სტადიონის ზარალიც დათვალა (21 ათასი ევრო) და უეფამ ამ თანხის გადახდა „ლეგიას“ დააკისრა.

**ვაჟა ხუციშვილი**





# სავიოლას პატივს ვცემ, მაგრამ ნული იყო



## ხუან ლაპორტამ რონალდინიოს მოქმედი კონტრაქტიც ახსენა

„ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას „კატალუნია რადიო“ ესაუბრა. „ბარსას“ ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხავიერ სავიოლას გადაწყვეტილებას, მადრიდის „რეალში“ გადასვლის თაობაზე, პატივს სცემს, თუმცა ისიც განაცხადა, ბოლო პერიოდში „ბაჭიას“ სარგებლიანობა ნულის ტოლფასი იყოო...

— გასული სეზონის შეცდომებიდან „ბარსამ“ რა დასკვნა გამოიტანა?

— იცით, რომ გუნდში განახლების პროცესი მიდის, როგორც პროფესიონალიზმის, ისევე მენტალური თვალსაზრისითაც. გასულ სეზონში ერთმანეთისადმი ნდობის დანაკლისს განვიცდიდით, რაც აღარ უნდა განმეორდეს.

— სამუელ ეტოომ თუ გაისადაც „ბუნტი“ მოაწყო, კლუბის უფროსობა მკაცრ ზომებს მიიღებს?

— სიტუაციას შევხედავთ და შესაბამისად შევაფასებთ.

— ვარჯიშების გაცდენის ფაქტებს კიდევ უნდა ველოდოთ?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენთან კონტროლი გამკაცრდა და დისციპლინის დამრღვევები მკაცრად დაისჯებიან. შევქმნით კომისიას, რომელიც საგანგებოდ ამ ფაქტებს გამოიკვლევს.

— და ღამის ბარებში ფეხბურთელების ლაშქრობებზე რას გვეტყვით?

— ჩვენთან ფეხბურთელებს ცხოვრების წესებს არავინ უზღუდავს. უბრალოდ, მათ ვთხოვთ, რომ კლუბის სახელით მოწყობილ აქციებზე უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ. ნურავინ დაფრთხება, „ბარსელონაში“ დიქტატურა არ შემოგვიღია.

— რონალდინიომ რომ გთხოვოთ, კონტრაქტს გაუხანგრძლივებთ?

— კლუბი თავის სიტყვას ყოველთვის ასრულებს. მოქმედი კონტრაქტის მიხედვით, რონალდინიოს ჩვენთან 2010 წლამდე უწევს ყოფნა და ამით ძალიან კმაყოფილნი ვართ. რონი შესანიშნავი ფეხბურთელია და მის გაყიდვას არ ვაპირებთ. „ბარსას“ სურვილია, ჩვენს მოთამაშეებს ყოველთვის სამართლიანად მოვექცეთ.

— ხავიერ სავიოლა კი მადრიდის „რეალში“ მიდის...

— მას შეუძლია, „ბარსელონას“ მადლობა უთხრას. კლუბი ყველანაირად ცდილობდა, რომ არგენტინელს რაიმე პრობლემა არ შექმნოდა.

— როგორ შეაფასებდით თქვენი ყოფილი ფეხბურთელის მოწინააღმდეგე ბანაკში გადასვლას?

— სავიოლას აზრს პატივს ვცემ, ოღონდ არ ვიზიარებ. ხუთი წლის განმავლობაში კლუბი საუკეთესოდ ექცეოდა და ვერ დაიჩივლებს. თუმცა, სამწუხაროდ, სავიოლას სარგებლიანობა ნულის ტოლი იყო.

— კლუბის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი მძაფრად გაკრიტიკებთ...

— ნაკლებად მაინტერესებს, როსელი „ბარსელონაზე“ და პირადად ჩემზე რას იტყვის. მისი მიზანი ჩვენი დისკრედიტაციაა.

# არგენტინამ მილიტოს ბარსა მიულოცა

„კოპა ამერიკაზე“ არგენტინისა და მექსიკის ნახევარფინალურ შეხვედრამდე რამდენიმე საათი იყო დარჩენილი, როცა გაბი მილიტომ მისი „სარაგოსადან“ „ბარსელონაში“ გადასვლის შესახებ შეიტყო. მერე კი პატაგონიელმა შეუძლებელი მოინდომა. როგორც თავად განაცხადა, არ უნდოდა, რომ მექსიკასთან მნიშვნელოვანი მატჩის წინ თანაგუნდელები ევროპულ ტრანსფერზე საუბრით აეფორიაქებინა. მსურდა, ბიჭები მარტო თამაშზე ყოფილიყვნენ კონცენტრირებულნიო — თქვა მილიტომ...

ნურას უკაცრავად. როგორც კი „მარშალის“ დიდი ხნის ოცნების ასრულების შესახებ გაიგეს, „ალბისელესტეს“ ბანაკში მხიარულებამ დაისადგურა. არგენტინის ნაკრების ფეხბურთელებს რამდენიმე ხნით მექსიკასთან ჯახი მიავიწყდათ და ყველა მილიტოსთან მივარდა მისალოცად. განსაკუთრებით ლეო მესი იყო გახარებული.

„ეს დიდი შენაძენია „ბარსელონასთვის“. მილიტო შესანიშნავი ცენტრალური მცველი და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელია. გაბისაც ვულოცავ და „ბარსასაც“ — აღნიშნა ლეომ.

„მარშალმა“ კი „კამპ ნოუზე“ გადასვლის თაობაზე ადრეც იცოდა (ბოლო დღეებში საქმე ისე მიდიოდა, რომ წესით და რიგით, მილიტოს კატალონიაში გადაბარგებას წინ არაფერი უნდა დასდგომოდა), თუმცა ბარსელონიდან ოფიციალური შეტყობინების შემდეგ გაბიმ სიხარული მაინც ვერ დამალა — „ჩემთვის ეს დიდი დღეა. ვამაყობ, რომ ასეთი ბრწყინვალე ისტორიის მქონე გუნდში ვითამაშებ, ყველა ფეხბურთელი ხომ ვერ ახერხებს ოცნების სინამდვილედ გადაქცევას და „ბარსაში“ თამაშის დაწყებას“ — თქვა მილიტომ.

„სარაგოსას“ აწ უკვე ყოფილ კაპიტანს არც არაგონული კლუბი დავიწყებია: „მინდა, „სარაგოსას“ დიდი მადლობა გადავუხადო იმ შესანიშნავი პერიოდისთვის, რაც იქ გავატარე. ამ გუნდმა ესპანურ ლა ლიგაში თამაშის შანსი მომცა, იქაური გულშემატკივრები კი შესანიშნავად მექცეოდნენ...“





არგენტინელი „კამპ ნოუზე“ მომავალი 4 სეზონის განმავლობაში ითამაშებს და ჯამაგირად 4 მილიონი ევრო ექნება. მილიტოს სანაცვლოდ „ბარსელონამ“ „სარაგოსას“ 17 მილიონი ევრო უკვე გადაუხადა, ხოლო თუ კატალონიურმა გრანდმა გაისად პრიმერადივიზიონი ან ჩემპიონა ლიგა მოიგო, გაბის ყოფილი გუნდი დამატებით 3,5 მილიონ ევროს მიიღებს.

**ლადო ხომერიკი**



# რეალმა კასილიას დუდეკი მოუძებნა

**იკერ კასილიასის** სათადარიგო მეკარე პოლონელი ირჟი დუდეკი იქნება. „სამეფო თეთრები“ თავიდან იტალიელი ფრანჩესკო ტოლდოს შეძენას აპირებდნენ, თუმცა ფინანსურ საკითხებში უთანხმოების გამო ეს ტრანსფერი არ შედგა. „რეალმაც“ დუდეკს დაადგა თვალი — მით უმეტეს, რომ გოლკიპერი „სამეფო გუნდში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით მიდის.

დუდეკს პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში 56 მატჩი გაუმართავს. „ლივერპულში“ კი სანდერ ვესტერფელდის მაგივრად 2001 წელს „ფეიენოორდიდან“ გადავიდა და რამდენიმე სეზონის განმავლობაში ძირითადი მეკარე გახლდათ. ირჟი დუდეკი „წითლების“ ფანებმა განსაკუთრებით 2005 წელს, „ლივერპულის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ შეიყვარეს — „მილანთან“ პენალტების სერიაში ირჟი მთავარი გმირი იყო.

მიუხედავად ამისა, გუნდში პეპე რეინას ჩარიცხვის შემდეგ პოლონელმა ძირითადში ადგილი დაკარგა და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

„რეალის“ სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი რამდენიმე დღის წინ დუდეკის აგენტ იან დე ზეუვს დაუკავშირდა და, როგორც „მარკა“ გვამცნობს, პოლონელის „სამეფო გუნდში“ გადასვლის ამბავიც გადაწყვიტა.

დუდეკს ყველა ის საჭირო მონაცემი აქვს, რასაც „სამეფო თეთრების“ ახალი მწვრთნელი ბერნდ შუსტერი მოითხოვს — ევროპაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და ამბიციაც არ აკლია ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად.

**ლადო ხომერიკი**

# ვილიარეალმა ჟიგიჩს ახედა

## ვინ შეცვლის ფორლანს?

**დიეგო ფორლანი** უკვე მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელია, მისი ყოფილი კლუბი „ვილიარელი“ კი თავდასხმაში ურუგვაელის დანაკლისის შესავსებად „რასინგისგან“ ნიკოლა ჟიგიჩის ყიდვას აპირებს. სერბი გიგანტი „ყვითლების“ პრეზიდენტ ფერნანდო როიგის ფავორიტია, თუმცა „რასინგს“ ჟიგიჩის შესახებ მარტო „ვილიამ“ არ მიმართა — ბალკანელის ყიდვა „იუვენტუსს“, „ფიორენტინას“ და ასევე რამდენიმე თურქულ, უკრაინულ და ინგლისურ კლუბს უნდა.

ესპანეთში აცხადებენ, რომ ფერნანდო როიგს კანტაბრიული კლუბის პრეზიდენტ ფრანსისკო პერნიასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს, ამიტომ „ვილიარეალს“ „რასინგთან“ შეთანხმება არ უნდა გაუჭირდეს.

კანტაბრიელები აყლაყუდა სერბის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ითხოვენ, რაც „ვილიას“ ეძვირება. თუმცა, არ არის გამორიცხული, სატრანსფერო ოპერაციაში სანტი კაზორლა და ლოპეს ვალეხო ჩართონ, რის შედეგადაც ჟიგიჩის ფასი 12 მილიონ ევრომდე შემცირდება.

**ლადო ხომერიკი**

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

ავსტრია 2:1 გამბია

აშშ 2:1დ.დ. (1:1) ურუგვაი

იაპონია 2:2დ.დ. (პენ.3:4, 2:2) ჩეხეთი

ესპანეთი 4:2დ.დ. (2:2) ბრაზილია

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | რუსეთი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 16:00 | 52 | ამკარი-სპარტაკი მ | 3.65 | 3.00 | 2.00 | 1.64 | 1.29 | 1.20 |
| 14:00 | 53 | ცსკა მ-დინამო მ | 2.05 | 3.10 | 3.35 | 1.23 | 1.27 | 1.61 |
| 12:00 | 54 | ენერგია-სატურნი | 2.25 | 2.70 | 3.50 | 1.22 | 1.36 | 1.52 |
| 20:00 | 55 | ყუბანი-ხიმკი | 2.05 | 2.90 | 3.60 | 1.20 | 1.30 | 1.60 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 16:30 | 56 | კრილია-ნალჩიკი | 1.70 | 3.00 | 5.50 | 1.08 | 1.29 | 1.94 |
| 14:00 | 57 | ტომსკი-მოსკოვი | 2.45 | 2.70 | 3.05 | 1.28 | 1.35 | 1.43 |
| 19:00 | 58 | ზენიტი-როსტოვი | 1.25 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 2.85 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 23 | ტრელებორგი-გაის | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:00 | 24 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 25 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 21:00 | 26 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 22:00 | 27 | ჰეკენი-სილვია | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 19:30 | 32 | მარიეჰამნი-ოულუ | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 19:30 | 33 | ვპს-ლაჰტი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| | | 16 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 34 | ტურკუ-კტპ | 1.55 | 3.60 | 5.50 | 1.08 | 1.20 | 2.17 |
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 22:45 | 39 | ბრეი-დერი | 3.00 | 3.10 | 2.25 | 1.52 | 1.28 | 1.30 |
| 22:45 | 40 | დროგედა-ბოჰემიანი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 22:45 | 43 | სლიგო-გალვეი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 18:00 | 41 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 1.30 | 4.50 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.94 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 47 | ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 48 | ვაშინგტონი-დალასი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 49 | კანზასი-სოლტ ლეიკი | 1.65 | 3.30 | 4.60 | 1.10 | 1.21 | 1.92 |
| 23:45 | 50 | ჩივასი-კოლამბუსი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 51 | ჰიუსტონი-ტორონტო | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| | | ბრაზილია | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 62 | სანტოსი-ბოტაფოგო | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 23:00 | 63 | სპორტ რისაიფი-ატლეტიკო მნ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:00 | 64 | გრემიო-პალმეირასი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 65 | ამერიკა-ინტერნასიონალი | 2.60 | 3.20 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 66 | კორინთიანსი-სან პაულუ | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 67 | კრუზეირო-გოიასი | 2.25 | 3.20 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.47 |
| | | ამერიკის თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 134 | მექსიკა-ურუგვაი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 23:45 | 135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი(20)კანადა | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 22:15 | 108 | აშშ 20-ავსტრია 20 | 1.80 | 3.10 | 3.45 | 1.13 | 1.18 | 1.63 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 13 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 81 | ერაყი-ავსტრალია (ტაილანდი) | 7.50 | 3.90 | 1.40 | 2.56 | 1.17 | 1.03 |
| 16:30 | 82 | საამიროები-იაპონია(ვიეტნამი) | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 71 | შალკე-მიდლსბრო (ნ) | 1.80 | 3.10 | 3.50 | 1.13 | 1.18 | 1.64 |
| 21:00 | 72 | ვერდერი-ბაზელი (ნ) | 1.70 | 3.10 | 4.10 | 1.09 | 1.20 | 1.76 |
| 23:45 | 73 | ამერიკა-ჩელსი (აშშ) | 4.40 | 3.10 | 1.65 | 1.81 | 1.20 | 1.07 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 17:00 | 109 | ჰამბურგი-ბეშიქთაში (ნ) | 2.30 | 3.10 | 2.50 | 1.32 | 1.19 | 1.38 |
| | | იაპონია. თასი | | | | | | |
| | | 14 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 91 | ტოკიო-იოკოჰამა ფმ | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 14:00 | 92 | გამბა-ურავა | 1.90 | 3.30 | 3.50 | 1.20 | 1.23 | 1.69 |
| | | 15 ივლისი | | | | | | |
| 13:30 | 93 | კაშიმა-ჰიროსიმა | 1.75 | 3.30 | 4.00 | 1.14 | 1.21 | 1.80 |
| 14:00 | 94 | კავასაკი-კოფუ | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10023 | ტრელებორგი-გაის | 2.70 | 2.00 | 3.15 | 1.14 | 1.45 | 1.22 |
| 10024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 2.50 | 2.00 | 3.50 | 1.11 | 1.45 | 1.27 |
| 10025 | ჰალმსტადი-იორებრო | 2.05 | 2.20 | 5.20 | 1.06 | 1.47 | 1.54 |
| 10026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 2.75 | 2.10 | 3.15 | 1.19 | 1.46 | 1.25 |
| 10027 | ჰეკენი-სილვია | 1.85 | 2.30 | 6.30 | 1.02 | 1.43 | 1.68 |
| 10039 | ბრეი-დერი | 3.40 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.48 | 1.13 |
| 10040 | დროგედა-ბოჰემიანი | 2.40 | 2.00 | 3.85 | 1.09 | 1.47 | 1.31 |
| 10041 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 1.50 | 2.80 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 2.07 |
| 10043 | სლიგო-გალვეი | 2.25 | 2.10 | 4.30 | 1.08 | 1.47 | 1.41 |
| 10052 | ამკარი-სპარტაკი მ | 4.00 | 2.00 | 2.45 | 1.33 | 1.51 | 1.10 |
| 10053 | ცსკა მ-დინამო მ | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10054 | ენერგია-სატურნი | 2.65 | 1.90 | 3.85 | 1.10 | 1.56 | 1.27 |
| 10055 | ყუბანი-ხიმკი | 2.45 | 1.90 | 4.00 | 1.07 | 1.51 | 1.28 |
| 10056 | კრილია-ნალჩიკი | 2.15 | 2.00 | 5.90 | 1.03 | 1.57 | 1.49 |
| 10057 | ტომსკი-მოსკოვი | 2.85 | 1.90 | 3.50 | 1.13 | 1.57 | 1.23 |
| 10058 | ზენიტი-როსტოვი | 1.50 | 2.70 | 6.50 | 1.00 | 1.21 | 1.90 |
| 10134 | მექსიკა-ურუგვაი | 2.50 | 2.00 | 3.55 | 1.11 | 1.46 | 1.27 |
| 10135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.35 | 2.10 | 3.85 | 1.10 | 1.45 | 1.35 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11023 | ტრელებორგი-გაის | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11025 | ჰალმსტადი-იორებრო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11027 | ჰეკენი-სილვია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11039 | ბრეი-დერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11040 | დროგედა-ბოჰემიანი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11041 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11043 | სლიგო-გალვეი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11052 | ამკარი-სპარტაკი მ | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11053 | ცსკა მ-დინამო მ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11054 | ენერგია-სატურნი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11055 | ყუბანი-ხიმკი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11056 | კრილია-ნალჩიკი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11057 | ტომსკი-მოსკოვი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11058 | ზენიტი-როსტოვი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11134 | მექსიკა-ურუგვაი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11135 | არგენტინა-ბრაზილია | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12023 | ტრელებორგი-გაის | 1.70 | 1.90 |
| 12024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.90 | 1.70 |
| 12025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.90 | 1.70 |
| 12026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 12027 | ჰაკენი-სილვია | 1.70 | 1.90 |
| 12039 | ბრეი-დერი | 1.60 | 2.00 |
| 12040 | დროგედა-ბოჰემიანი | 1.55 | 2.10 |
| 12043 | სლიგო-გალვეი | 1.60 | 2.00 |
| 12052 | ამკარი-სპარტაკი მ | 1.60 | 2.00 |
| 12053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.65 | 1.95 |
| 12054 | ენერგია-სატურნი | 1.60 | 2.00 |
| 12055 | ყუბანი-ხიმკი | 1.60 | 2.00 |
| 12056 | კრილია-ნალჩიკი | 1.60 | 2.00 |
| 12057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.60 | 2.00 |
| 12058 | ზენიტი-როსტოვი | 1.95 | 1.60 |
| 12134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.90 | 1.70 |
| 12135 | არგენტინა-ბრაზილია | 2.00 | 1.60 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15023 | ტრელებორგი-გაის | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ჰალმსტადი-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ჰაკენი-სილვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ბრეი-დერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | დროგედა-ბოჰემიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | სლიგო-გალვეი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ამკარი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | ცსკა მ-დინამო მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ენერგია-სატურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ყუბანი-ხიმკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | კრილია-ნალჩიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ტომსკი-მოსკოვი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15134 | მექსიკა-ურუგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15135 | არგენტინა-ბრაზილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## გოლი: ლუწი-1 ან კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17023 | ტრელებორგი-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17027 | ჰაკენი-სილვია | 1.85 | 1.95 |
| 17039 | ბრეი-დერი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | დროგედა-ბოჰემიანი | 1.85 | 1.95 |
| 17041 | სტ.პატრიკსი-ლონგფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17043 | სლიგო-გალვეი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | ამკარი-სპარტაკი მ | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ენერგია-სატურნი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ყუბანი-ხიმკი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | კრილია-ნალჩიკი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | ზენიტი-როსტოვი | 1.85 | 1.95 |
| 17134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.85 | 1.95 |

## ფრეს ბარიერი (ძირ. დრო)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16023 | ტრელებორგი-გაის | 1.62 | 2.05 | 16052 | ამკარი-სპარტაკი მ | 2.45 | 1.40 |
| 16024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.50 | 2.30 | 16053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.45 | 2.45 |
| 16025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.22 | 3.40 | 16054 | ენერგია-სატურნი | 1.58 | 2.10 |
| 16026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.65 | 2.05 | 16055 | ყუბანი-ხიმკი | 1.45 | 2.45 |
| 16027 | ჰაკენი-სილვია | 1.14 | 4.70 | 16056 | კრილია-ნალჩიკი | 1.24 | 3.60 |
| 16039 | ბრეი-დერი | 2.10 | 1.60 | 16057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.75 | 1.85 |
| 16040 | დროგედა-ბოჰემიანი | 1.40 | 2.55 | 16134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.50 | 2.30 |
| 16043 | სლიგო-გალვეი | 1.32 | 3.00 | 16135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.40 | 2.55 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14023 | ტრელებორგი-გაის | 1.80 | 2.00 | 14052 | ამკარი-სპარტაკი მ | 2.20 | 1.70 |
| 14024 | ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1.75 | 2.10 | 14053 | ცსკა მ-დინამო მ | 1.75 | 2.10 |
| 14025 | ჰალმსტადი-იორებრო | 1.30 | 2.50 | 14054 | ენერგია-სატურნი | 1.80 | 2.00 |
| 14026 | ბრომაპოიკარნა-გეფლე | 1.80 | 2.00 | 14055 | ყუბანი-ხიმკი | 1.75 | 2.10 |
| 14027 | ჰაკენი-სილვია | 1.30 | 2.50 | 14056 | კრილია-ნალჩიკი | 1.45 | 2.40 |
| 14039 | ბრეი-დერი | 2.00 | 1.80 | 14057 | ტომსკი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 14040 | დროგედა-ბოჰემიანი | 1.70 | 2.20 | 14134 | მექსიკა-ურუგვაი | 1.75 | 2.10 |
| 14043 | სლიგო-გალვეი | 1.65 | 2.30 | 14135 | არგენტინა-ბრაზილია | 1.70 | 2.20 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ძიუდო

# ევროპა ვაკეში შეჯამდა

## ძიუდოისტებმა ოლიმპიური რვეული შეავსეს



ზებედა რეხვიაშვილი ევროპის ჩემპიონატზე საუკეთესო იყო

**ევროპის** ჩემპიონატზე ხუთი მედლის მომგები ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრები უკვე თბილისშია და მომავალი საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. ქართველი 17-წლამდელები ერთ კვირაში ბელგრადში გაემგზავრებიან და ოლიმპიურ ფესტივალზე იჭიდავებენ. მალტიდან დაბრუნებულმა გუნდმა გუშინ ვაკის დარბაზში პირველი ვარჯიში ჩაატარა. ტატამზე ბიჭებს მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი გურამ მოდებაძე შეუძღვა. სწორედ მან ჩაამთავრებინა ნაკრებს წინასაჩემპიონატო დასკვნითი შეკრება და მანვე წაიყვანა გუნდი მალტაში. ახალნაოპერაციები მთავარი მწვრთნელი ჯემალ ნათელაშვილი კი ერთი კვირაა, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს და გუშინდელ ვარჯიშს გვერდიდან ადევნებდა თვალს.

სანამ უშუალოდ ვარჯიშსა და უფროს-უმცროსი ძიუდოისტების კომენტარებზე გადავიდოდეთ, მალტური მედალოსნები გავიხსენოთ. რვა წონითი კატეგორიიდან კვარცხლბეკზე ჩვენებურები ხუთში ავიდნენ. ოთარ კაიდარაშვილმა (50 კგ), გიორგი მერმანიშვილმა (73 კგ) და ვაჟა დაბრუნდაშვილმა (+90 კგ) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ზვიად კაპანაძემ (60 კგ) ვერცხლის, ხოლო ზებედა რეხვიაშვილი (66 კგ) ჩემპიონი გახდა.

16 წლის რუსთაველი ოქროსმედალოსნისთვის ეს ევროპირველობა კადეტურ ასაკში ბოლო იყო. მომავალი წლიდან კი ზებედა უკვე ახალგაზრდებში ეცდება იგივეს მიღწევას.

— ბევრი გამოცდილი სპორტსმენისგან გამიგია, რომ ჩემპიონობის შენარჩუნება გაცილებით ძნელია, ვიდრე მოპოვება. ჩემპიონთან ხომ ყველა განსაკუთრებული მონდომებით ჭიდაობს. თან უკვე ახალგაზრდულ ასაკში გადავდივარ და თავიდან შედარებით უფროს მეტოქეებთან მომიწევს ჭიდაობა. თუმცა ვიცი, მთავარი შრომა და მონდომებაა. შედეგის მისაღწევად თავს არ დავზოგავ. უფროსებთან დაჭიდებას რაც შეეხება, უკვე შეჩვეული ვარ. თუნდაც ამ ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე აშკარად გადაზრდილ ასაკიანს შევხვდი. თუმცა მათ ძლევაზე მეტად უკრაინელ არტიომ ბულიგასთან მოგებამ გამახარა. ჯერ ერთი, რომ ეს ფინალი იყო და მეორეც, ბულიგასთან იქამდე წაგებული მქონდა — გვითხრა **რეხვიაშვილმა** და უმალ ტატამს მიუბრუნდა. სამაგიეროდ, მოვარჯიშეებს **გურამ მოდებაძე** გამოეყო:

— ევროპის ჩემპიონატის წინ ამ ბიჭებმა პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ისე იჭიდავეს, მაშინვე გამოჩნდა, რომ მალტაში მედლებისთვის ბრძოლა ყველას რეალურად შეეძლო. უფრო კონკრეტულადაც ვფიქრობდით თითოეულის შანსზე, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა მომგებიანი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა. მხოლოდ ერთს გაგიმხელთ, მთავარი აქცენტი 60, 66 და 73-კილოგრამიანებზე კეთდებოდა და გაამართლეს კიდეც.

— ბოლო წლებში ჩვენმა ფედერაციამ ასაკის გადამკეთებლებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა. ასაკობრივ ნაკრებებში წესების დარღვევით ვერავინ ხვდება. ევროპის წამყვან ქვეყნებში ასეთი რამე ალბათ აზრადაც არ მოსდით. ბევრი ფედერაციისთვის კი ეს დარღვევა ჩვეულებრივად მისაღებია, განსაკუთრებით ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. აზერბაიჯანელ და რუს ძიუდოისტებს ერთი შეხედვითაც ეტყობათ, რომ გადაზრდილები არიან. ასეთ მეტოქეებთან ბრძოლა ჭაბუკებისთვის ძალიან ძნელია. მათ ასაკში 2-3 წლის სხვაობა ბევრს ნიშნავს. ფსიქოლოგიურად კი ვიჩაგრებით, მაგრამ ჩვენთვის მაინც მომგებიანია, ბიჭები აქედანვე ეჩვევიან უფროსებთან ბრძოლას. ცნობისთვის, მერმანიშვილმა და დავით მერებაშვილმა (81 კგ) მალტაში ამ პრობლემის გამო წააგეს. თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ ისინი გუნდში ყველაზე პატარები იყვნენ და მომავალ წელსაც ჭაბუკურ ასაკში იჭიდავებენ, ხოლო დანარჩენები ახალგაზრდებში გადავლენ. ამ ჭაბუკების ჩემპიონ-პრიზიორობაში ლომის წვლილი მათ პირად მწვრთნელებს მიუძღვით. დიდი მადლობა ანზორ თენაძეს, ქართლოს პავლიაშვილს, ვასილ ჩიხრაძეს, ბორის ფირცხელანს და ყველა იმ სპეციალისტს, რომლებიც ჩვენი ნაკრების წევრებს მომავალ დიდ ჩემპიონებად ზრდიან.

**ჯემალ ნათელაშვილი** ვარჯიშს ყურადღებით ადევნებდა თვალს

— სამწუხაროდ, ჯერ ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ ვარ და ოლიმპიურ ფესტივალზე ბიჭებს ისევ მოდებაძე წაიყვანს — გვითხრა დანანებით და სკამზე ჩამოჯდა — ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გუნდი მშვენიერ ფორმაშია. ბელგრადში კიდევ უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე ევროპირველობაზე. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის და ეს ჭაბუკები თავის სათქმელს წლების მერე უფროსებშიც იტყვიან.

ნაკრების თავკაცმა ჩემპიონატის სამზადისიც გაიხსენა და ბაკურიანისა და ბაზალეთის შეკრებებისთვის ფედერაციას მადლობა გადაუხადა. ბოლოს კი საბელგრადო შემადგენლობაც გაგვიმხილა. ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე ევროგუნდის რვა წევრიდან ხუთივე მედალოსანი მოხვდა. უმედლოდ დარჩენილი სამეული — ჯონდი მარიდაშვილი (55 კგ), დავით მერებაშვილი (81 კგ) და გიორგი კობერიძე (90 კგ) კი მხოლოდ იმიტომ შეცვალეს, რომ თავის გამოჩენის შანსი მათ კონკურენტებსაც მიეცეთ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

### საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები

| | |
|---|---|
| 50 კგ | ოთარ კაიდარაშვილი |
| 55 კგ | გიორგი რატიანი |
| 60 კგ | ზვიად კაპანაძე |
| 66 კგ | ზებედა რეხვიაშვილი |
| 73 კგ | გიორგი მერმანიშვილი |
| 81 კგ | არჩილ შინჯიკაშვილი |
| 90 კგ | ნიკა ხაჩიძე |
| +90 კგ | ვაჟა დაბრუნდაშვილი |

# შვედურ მაგიდას სტუმრები მიუსხდნენ



რადეკ შტეპანეკი

**კაცები**
**გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი. საპრიზო 421 250 €**

**მეორე წრე**

გაელ მონფილსი (საფრანგეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1 6:4; პოლ-ანრი მატიო (5, საფრანგეთი) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 4:6 6:4 7:6; რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) — ფილიპ კოლშრაიბერი (4, გერმანია) 7:5 6:3; მარკ ჟიკელი (6, საფრანგეთი) — ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 6:2 7:6; იგორ ანდრეევი (რუსეთი) — პოტიტო სტარაჩე (8, იტალია) 6:3 7:5; მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4 3:6 6:4; ანდრეა სეპი (იტალია) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 1:6 7:6 7:6

**კაცები**
**ბასტადი. შვედეთი თიხნარი საპრიზო 353 450**

**მეორე წრე**

ლუის ჰორნა (პერუ) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:3 7:6; ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (8, შვედეთი) 6:4 6:2; ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — ხუან მონაკო (7, საფრანგეთი) 6:4 6:4; კარლოს მოია (4, ესპანეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:2 6:3

**კაცები**
**ნიუპორტი. აშშ. ბალახი. საპრიზო 416 000 $**

მეორე წრე

აისამ ულ-ჰაქ-ქურეში (პაკისტანი) — ნატან ჰეილი (ავსტრალია) 7:6 5:7 6:4; დიკ ნორმანი (ბელგია) — მიხაელ ბერერი (6, გერმანია) 6:2 6:7 7:6; ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — როკო კარანუსიჩი (ხორვატია) 6:4 4:6 6:2; ვინსენტ სპადეა (2, აშშ) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 6:3 7:5

**შვეიცარიაში,** როგორც იქნა გამოიდარა და ჩოგბურთელებიც გამალებით შეესივენ კორტებს. ოღონდ ეგაა, რომ ალპებში მიმალულ გშტაადში ფავორიტებს ისევ ცუდად მისდით საქმეები. გუშინ კიდევ ორი განთესილი გაუყენეს შინის გზას — ეს უილბლოები მეოთხე და მერვე ნომრები, შესაბამისად, ფილიპ კოლშრაიბერი და პოტიტო სტარაჩე არიან. თუმც აქვე ვთქვათ, რომ არც ერთის მარცხი არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ მოულოდნელობას, რადგან მათ საკმაოდ სერიოზული მეტოქეები ჰყავდათ.

გერმანელს წირვა რადეკ შტეპანეკმა გამოუყვანა — ჩეხმა ამას საათნახევარი მოანდომა. კოლშრაიბერმა მხოლოდ პირველ სეტში გაიფაფხურა, მაგრამ პარტიის მიწურულს შტეპანეკმა საჭირო ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა. ამის შემდეგ გამოცდილ ჩეხს პრობლემა აღარ შექმნია. ვერ ივარგა სტარაჩემაც, რომელმაც ასევე მხოლოდ ერთ სეტში შეძლო მეტ-ნაკლებად ხეირიანად გაბრძოლება, მაგრამ ამით იგორ ანდრეევს ბევრი ვერაფერი დააკლო.

ტურნირის პირველ ნომერ ნიკოლაი დავიდენკოს გაგდების შემდეგ კარგ ხასიათზე მყოფმა გაელ მონფილსმა ირჟი ვანეკსაც გადაუარა და მეოთხედფინალს უწია, სადაც თანამემამულე პოლ-ანრი მატიოსთან მოუწევს დაპირისპირება. თავის მხრივ, ეს გალი შარშანდელ ფინალისტ ფელიჩიანო ლოპესს გაუსწორდა.

შვედურ ბასტადში კი მასპინძლების ცოდვის ტრიალი იყო — შემორჩენილი სამი სკანდინაველიდან გუშინ ორი დაიფრინეს და ადგილობრივი მაყურებელი ცუდ ხასიათზეც დააყენეს. შვედურ მასპინძლობას ასეთი „უმადურობით“ ესპანელებმა — კარლოს მოიამ და ნიკოლას ალმაგრომ უპასუხეს, რომლებმაც ორი ვეტერანი, ტომას იოჰანსონი და იონას ბიორკმანი დაამწუხრეს. თუმც თიხნარი ხომ პირინეელთა საყვარელი საფარია და ამის ფონზე შვედების მარცხი გასაგები ხდება.

გრუნტის კიდევ ერთ სპეციალისტად მიჩნეულ ხუან მონაკოს კი არ გაუმართლა, რადგან ჟილ სიმონი უკეთეს ფორმაში აღმოჩნდა და არგენტინელს საკმაოდ იოლად აჯობა.

ნიუპორტის ბალახზე პაკისტანელი ჰასიმ ულ-ჰაქ-ქურეში ჩაუქობს, რომელმაც უკვე მეოთხედფინალს უწია. ტურნირის პირველ ნომერ მარდი ფიშს აზიელმა მთლად უცნობი ავსტრალიელი ნათან ჰეილიც მიაყოლა. თუმც პაკისტანელს ოზთან მაგრად გაუჭირდა — ამ სამსეტიან ჯახში ყველაფერი ბოლოსკენ გაირკვა, როდესაც ქურეშმა უფრო აკურატული თამაშის წყალობით შეძლო მწვანე კონტინენტის წარმომადგენლის დამარცხება.

ერთი განთესილს აქაც გამოსჭრეს კისერი — მიხაელ ბერერი ბელგიელმა დიკ ნორმანმა გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე გატეხა.

**კახა ლომჯაშვილი**

# ორნი ბოსტონში და მეორე წრეში

## ტატიშვილი და დევიძე მასპინძლებს გაუსწორდნენ

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ამ კვირაში მიმდინარე ტურნირებზე მოთამაშე ექვსი ქართველიდან საქმეს ორნიღა შემორჩნენ — ანა ტატიშვილი და სალომე დევიძე, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოსტონის მაგარსაფარზე, 50-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობენ.



სალომე დევიძე

დევიძემ ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან გააღწია, სადაც მესამე წრეში 6:0 6:4 მოუგო მეორე ჩვენებურს საფო მელიქიშვილს. სალომემ ძირითადი შეჯიბრიც კარგად დაიწყო და პირველ წრეში 6:0 6:3 სძლია ტურნირზე ორგანიზატორთა ნებით, ანუ „ვაილდ ქარდით“ მიწვეულ 16 წლის ამერიკელ ერიკა რობერს ტონს. ქართველი ჩოგბურთელის შემდეგი მეტოქეც კორტის მასპინძელი, 21 წლის და რეიტინგში 288-ე ადგილზე მყოფი სანდი გუმულიაა, რომელმაც მე-7 ნომრად განთესილ თანამემამულეს, ნეა უბეროის 7:5 6:4 აჯობა.

ტატიშვილის მეტოქე პირველ წრეში ასევე ამერიკელი, 18 წლისა და კლასიფიკაციაში 389-ე პოზიციაზე მყოფი მერი გემბილი იყო და ჩვენებურმა დაძაბულ სამსეტიან ბრძოლაში 6:4 1:6 7:6 იმარჯვა. მეორე წრეში ანა რეიტინგის 207-ე საფეხურზე მყოფ 25 წლის სამხრეთაფრიკელ ნატალი გრანდინის შეხვდება, რომელმაც პირველ ეტაპზე თავის თანამემამულეს სურინა დე ბეერს 6:3 6:2 სძლია.

მეორე წრეში დაასრულა იტალიური ბიელას თიხნარზე მიმდინარე 100-ათასდოლარიან შეჯიბრში თამაში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა. პირველ წრეში მაკამ 6:3 7:6 აჯობა 25 წლის არგენტინელ ნატალი გუზმანს, ვინც მიმდინარე რეიტინგში 814-ეა, ხოლო სამი წლის წინ 134-ე პოზიციაზე იმყოფებოდა.

ამის შემდეგ ჩახნაშვილს მეტოქედ უნიჭიერესი ფრანგი, 17 წლის ალიზ კორნიე ერგო. რეიტინგის 122-ე საფეხურზე მყოფმა ფრანგმა პირველ ეტაპზე ტურნირის მთავარი ფავორიტი, კლასიფიკაციის 33-ე ნომერი, გერმანელი მარტინა მიულერი 6:3 5:7 6:1 მოუგო.

პირველ წრეში დამარცხდა სოფო ქვაცაბაია, ვინც სერბული პროკუპლიეს 10-ათასიან ტურნირში თამაშობდა. სოფოს მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი 20 წლის არგენტინელი ვანერა ფურლანეტო იყო და რეიტინგის 555-ე ნომერმა ჩვენებურს დაძაბულ სამსეტიან პაექრობაში 6:3 3:6 7:6 დაამარცხა და ქართველსაც სამ სეტში — 6:3 6:7 7:6 აჯობა.

ასევე არგენტინელთან და ასევე პირველ წრეში დამარცხდა ნოდარ ითონიშვილიც. იტალიური კარპის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ქართველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავიდა, მაგრამ ვეტერან არგენტინელთან, 34 წლისა და რეიტინგში 657-ე პოზიციაზე მყოფ მარსელო კარპენტიესთან ველარას გახდა — 3:6 2:6.



# საფორმულე სპა სპაზე შეიყარა

**მიყოლებით** ორი ეტაპის შემდეგ საპირველფორმულო კალენდარში ორკვირიანი „ფანჯარა“ გამოჩნდა და მრბოლელებსაც სულის მოთქმის საშუალება მიეცათ. თუმც ამას ვერ ვიტყვით გუნდების ტექპერსონალზე, რადგან ყოველდღიურად უხდებათ თავიანთი ბოლიდების სრულყოფისთვის წვალება.

სეზონის ლიდერმა „მაკლარენ-მერსედესმა“ ბელგიაში სპა-ფრანკორშამის ავტოდრომზე სატესტოდ ახალი აეროდინამიკური ელემენტები წარმოადგინა და იმედი აქვს, რომ წარმატებული გამოცდის შემდეგ ჩემპიონატის მეორე ნახევარში უპირატესობას უფრო გაზრდის.

შედარებისთვის, „ფერარიც“ ერთი თვის წინანდელი ტესტების შემდეგ რიხიანად აცხადებდა, ახალმა აეროდინამიკამ გაგვიმართლაო და აკი სასურველი შედეგიც მიიღო — ზედიზედ, საფრანგეთსა და ინგლისში ორივე დიდი პრიზი დაისაკუთრა. ასე რომ, ამჯერად „მაკების“ ტრიუმფს უნდა ველოდოთ? ლეგენდარული „სპა“ ერთწლიანი მოკვეთის შემდეგ დაუბრუნდა „სამეფო რბოლებს“ და ამით პრაქტიკულად ყველა პილოტი გახარებულია. ეგაა, ყველაზე გრძელი და ერთ-ერთი ურთულესი ტრეკი საკმაოდ სახეცვლილი უბრუნდება ფორმულას. მოდერნიზაცია შეეხო ბოქსებს, ორ მოსახვევს, გარდა ამისა, უსაფრთხოების მოხრეშილი ზონები ასფალტიანი გახდა, ჩქაროსნული წრეც მცირედ დაგრძელდა და სადღეისოდ 7004 მეტრს შეადგენს.

მიზეზთა გამო, ბელგიაში ვერ გაივარჯიშეს გერმანელმა ნიკ ჰაიდფელდმა („BMW-ზაუბერი“) და ჰოლანდიელმა კრისტიან ალბერსმა („სპაიკერი“). ნიკის ამბავი საპატიოა, ორი კვირაა, რაც მას ზურგის ტკივილი აწუხებს და გუნდის ხელმძღვანელობამაც დასვენება-მოშუშების საშუალება მისცა.

ალბერსის საქმე კი შავადაა — განვლილ ცხრა რბოლაში უხეირო, უქულო ჯირითის გამო, თანაც იმ მიზეზით, რომ მას პირადმა სპონსორმა, კომპანია „მინუამ“ დაფინანსება შეუწყვიტა, კრისტიანი „სპაიკერიდან“ მოხსნეს. 27 წლის ნიდერლანდელის ადგილს ინდოელი ნარაინ კარტიკეიანი ან ავსტრიელი კრისტიან კლიენი დაიკავებს.

სპა-ში ტესტებისას „სპაიკერის“ საჭეს საჯინიბოს ჰოლანდიელი მეტესტე ვან დერ გარდე და მეორე „ძირითადი“ ადრიან სუტილი უსხდნენ. დანარჩენს დაველოდოთ.

**გია ახალაძე**



## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



AFP

ალექსანდრ ვინოკუროვის (მარცხნივ) დახმარებას „ასტანას“ წევრებმა დიდი ენერგია შეალიეს

# ასტანური ორმო

**ბურგუნდია,** შაბლიდან ოტიუნამდე გასავლელი 182,5 კილომეტრიანი ამერიკული მთები. დიახ, სწორედაც რომ ამერიკული მთები, ოღონდაც საშუალო სირთულის — ადი-ჩადი, ადი-ჩადი და ასე, ბარე ათჯერ — გზაზე ერთი მეორე, სამი მესამე, ოთხი მეოთხე და ორიც მეხუთე კატეგორიის სირთულის აღმართ-დაღმართი იყო.

თითქმის ყველა სამთო ფინიში და შესაბამისად, სამთო პრემიალურები „კოფიდისის“ ფრანგმა მრბოლმა სებასტიენ შავანელმა მოიგო, ვინც სადღაც მე-20 კილომეტრზე ვილიამ ბონეტთან („კრედიტ აგრიკოლი“), ფილიპ ჟილბერთან („ფრანსაიზ დე ჟუ“) და ჯამპაულო კეულასთან („ბარლვორლდი“) ერთად მოწყდა პელოტონს. მერე კეულა ერთი პირობა ჩამორჩა, ხოლო მოწინავე სამეულის უპირატესობამ 15 წუთსაც კი უწია, მაგრამ მერე პელოტონი ამუშავდა და ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე შავანელი ჩაყლაპა.

ფინიში ისევ ჯგუფური გამოვიდა. ერთი კილომეტრით ადრე პელოტონის თავში ყვითელმაისურიანი ფაბიენ კანჩელარა და ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპი იყვნენ, მაგრამ ბოლოს ველარ გაუძლეს და წინ „ლიქუაგასის“ იტალიელი ფილიპო პოზატო გავარდა, რომელმაც უკან მოიტოვა სპრინტის დიდოსტატები — ოსკარ ფრეისმა ერიკ ცაბელი და დანიელე ბენატი, ვინც მეორე ეტაპზე ზედახორაში რომ მოყვა, თითქოს რბოლის მიტოვებას აპირებდა, მაგრამ დარჩა და გუშინ მესამე ადგილზეც გავიდა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მთავარი გუშინ სულ სხვა რამ იყო. ბურგუნდიული ეტაპი სრულ კოშმარად იქცა ყაზახური „ასტანასა“ და მისი ლიდერის, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მთავარ ფავორიტად მიჩნეული ალექსანდრ ვინოკუროვისთვის.

„ვინო“ თავიდანვე, რაღაც უქეიფოდ იყო და მას კარგა ხნის მანძილზე რუსი თანაგუნდელი სერგეი ივანოვი მიათრევდა. მერე, ფინიშამდე 73 კილომეტრით ადრე ასტანელთა მეორე ნომერი ანდრეას კლოდენი დაეცა და სავოლდელისა და ნავარო გარსიას დახმარების შემდეგლა დაუბრუნდა ქარავანს. და, ფინიშამდე 24 კილომეტრით ადრე „ვინოც“ დაეცა. მისი ველოსიპედის ბორბალს რაღაც მოუვიდა და სანამ ტექნიკური დახმარების მანქანა მოაღწევდა, ივანოვმა მისცა ბორბალი თავის ლიდერს. მთელი „ასტანა“ გაჩერდა. წინ მხოლოდ კლოდენი გაუშვეს და ასე დაიწყეს ვინოკუროვის უძირო ორმოდან ამოთრევა. ბოლომდე მაინც ვერ ამოათრიეს — „ვინომ“ მოწინავე ჯგუფთან წუთი და 20 წამი წააგო და ლიდერ კანცელარას, უკვე ორ წუთზე მეტით ჩამორჩება. თუმცა, კანცელარას ვინ ჩივის — „ასტანას“ ლიდერი წუთზე მეტ აგებს ალეხანდრო ვალვერდესთან და ამ წუთისთვის ყაზახის „ასტანურ“ ლიდერობასაც შეუდგა წყალი — ანდრეას კლოდენი ხომ საერთო ჩათვლაში მეორეა, ვინოკუროვზე წუთითა და ორმოცი წამით წინ და მთელი ამ ჩამორჩენების აღმოფხვრა „ვინოს“ მთებში საკმაოდ გაუძნელდება.

**გია მუჯირი**

**მე-5 ეტაპი. შაბლი-ოტიუნი. 182,5 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ფილიპო პოზატო (იტალია, „ლიქუიგასი") | 4 სთ 39 წთ 01 წმ |
| 2. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი") | |
| 3. დანიელე ბენატი (იტალია, „ლამპრე") | |
| 4. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | |
| 5. ერიკ ცაბელი (გერმანია, „მილრამი") | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 24 სთ 28 წთ 56 წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა") | +33 წმ |
| 3. ფილიპო პოზატო (იტალია, „ლიქუიგასი") | +35 წმ |
| 4. დავიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი") | +41 წმ |
| 5. ჯორჯ ჰანკეიპი (აშშ, დისქავერი") | +43 წმ |



# ორი ისარი პეკინს დაეცა

ლაიპციგში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ ქალთა ინდივიდუალური პირველობის პლეი ოფი დაიწყო და სამი ქართველიდან ორმა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც გაინაღდა. ხათუნა ნარიმანიძემ და ქრისტინა ესებუამ კვალიფიკაციიდან გასულ 128 მონაწილეს შორის 36-ე და 38-ე ადგილები დაიკავეს და პლეი ოფის პირველ წრეში, სამოცდამეოთხედფინალში თავისზე დაბალრეიტინგიანებს შეხვდნენ. თუმცა მალე მეტოქეთა რეიტინგიც გაიზარდა და სიძლიერეც.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ორმოცი ოლიმპიური ლიცენზია თამაშდებოდა და მეთექვსმეტედფინალში გასვლა საგზურს ავტომატურად ნიშნავდა. სწორედ ამ ეტაპამდე მივიდა ესებუა. ქრისტინამ კვიპროსელ ელენა მუსიკუს ათი ქულით მოუგო — 106:96, რუს ვიქტორია დუბანოვასთან თანაბარი ქულები დააგროვა (105:105), მაგრამ უკეთესი მაჩვენებლებით მაინც იმარჯვა. ხოლო ტაილანდელ ნსიაო შენსას 92:107 წააგო.

ნარიმანიძემ შედარებით მძიმედ დაიწყო. ოცდამეთორმეტედფინალში ბელგიელ სილვია გეისკენსთან ფრით (99:99) გავიდა. მერე იტალიელი პია კარმენ ლიონეტი (102:101), იაპონელი ნამი ჰაიაკავა (107:104) და ფრანგი სოფი დოდემონი (10:101) ჩამოიცილა, მეოთხედფინალში კი ამერიკელ ჯენიფერ ნიკოლასთან 107:110 წააგო.

მესამე ჩვენებური ასმათ დიასამიძე პირველსავე წრეში დამარცხდა ავსტრიელ ჟანა ვალერთან 95:105.

მშვილდი თურქეთის სახელით მსროლელმა ნატალია ნასარიძემაც მოზიდა. მოლდოველ ოლგა ბულიგას 106:101 კი აჯობა, მაგრამ იაპონელ საიოკო კიტაბატაკესთან ველარაფერს გახდა — 101:108.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ჩხუბი ჩხუბამდე

**8 სექტემბერს** ლოს ანჯელესში პირველი საშუალო წონის ორი ცნობილი მოკრივე, ორი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგა და ამერიკელი ფერნანდო ვარგასი დაეტაკება ერთმანეთს.

სწორედ ამ ორთაბრძოლას მიეძღვნა ლოს ანჯელესშივე გამართული პრესკონფერენცია, რომელიც ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა.

თავიდან, როგორც წესი, მოკრივეებმა იმაზე ისაუბრეს, რომ მოუთმენლად ელიან მომავალ ჩხუბს და ამის შემდეგ სიტყვა მაიორგამ აიღო, რომელმაც ლამის ყვირილით ბრძანა, ვარგასს ნოკაუტში ჩავაგდებ და ამით მის ოჯახს დიდ სიკეთეს გავუკეთებ, რადგანაც ჩემთან წაგების შემდეგ ამერიკელი კარიერას დაასრულებსო.

მომავალი მეტოქის ამ სიტყვებზე ვარგასი ადგილიდან წამოხტა და ამ დროს ნიკარაგუელმა ამერიკელს გაარტყა. ეგრე არ უნდაო და ვარგასმა მაიორგას ორჯერ უთავაზა თავში. პრესკონფერენციის სხვა მონაწილენი და დაცვის წევრები ამის შემდეგლა დაფაცურდნენ და მოჩხუბრები გააშველეს.

მოკლედ, ძველი ისტორიაა. ასეთი რამ ბევრჯერ გვინახავს და ძველ ტრადიციას არც მაიორგამ და ვარგასმა გადაუხვიეს.

# ვიტალი კლიჩკო მაკლაინს დაელაპარაკება

თუ რიკარდო მაიორგამ და ფერნანდო ვარგასმა მომავალი ორთაბრძოლის პრესკონფერენცია უკვე მოილიეს, რინგზე დაბრუნებულ ვიტალი კლიჩკოსა და ჯამილ მაკლაინს ეს სიამოვნება ჯერ წინ აქვთ.

უკრაინელი, რომელიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ ავა რინგზე და ამერიკელი ერთმანეთს 22 სექტემბერს დაეტაკებიან. წინასამატჩო პრესკონფერენცია კი 16 ივლისს, მიუნხენის „ოლიმპიაჰ ალეში“ ჩატარდება.



ვლადიმირ და ვიტალი კლიჩკოები

შეგახსენებთ, რომ ვიტალი კლიჩკოსა და მისი ძმის ვლადიმირის მიზანი მძიმე წონის ოთხივე პრესტიჟული ვერსიის (IBF, WBC, WBA, WBO) საჩემპიონო ქამრების ერთ ოჯახში თავმოყრაა. მე და ვლადიმირს ამის გაკეთება ნამდვილად შეგვიძლია და ცოტა ხანში ყველას დავუმტკიცებთ, ჩვენზე უკეთესი მძიმეწონოსანი დედამიწის ზურგზე რომ არ დადისო, ბრძანა ამას წინათ ვიტალი კლიჩკომ.



# კაიომ ამაზე გაიარა

## კოკაის აიწონა-დაიწონა

**ნაგოიას** ბაშოს ქართული ტრადიცია არც გუშინ დაირღვა. კოკაიმ წაგებას ისევ მოგება მოაყოლა და ბალანსი გაიდადებითა. მესამე ქულა ლევან ცაგურიამ თავისსავით მაეგაშირა ტოკიცუმისთან აიღო. მართალია, საფირმო ცუპარებით მეტოქეს ბევრი ვერაფერი დააკლო, მაგრამ იქვე დოჰიოს კიდესთან დაიხია და უფრო მძლავრი მომგებიანი შეტევა წამოიწყო.

დღეს მეექვსე ტურია და „შავი ზღვა“ ტოჩიოძანთან მარტის ბაშოზე განცდილი მარცხისთვის რევანშის აღებას შეეცდება.

იმპერატორის თასისკენ კი წაუგებლად ისევ იოკოძუნა ხაკუხო და სეკივაკე კოტომიცუკი მიიწევენ. გუშინ ხაკუხომ მეხუთე ქულა ხომ მიითვალა, ამასთან წაუგებელ შეხვედრათა რიცხვი 21-მდე აიყვანა. „თერთმა ფენიქსმა“ „წითელ დრაკონზე“, ასასეკირიუზე გაილაღა. ცნობისთვის, ამ გამოცდილ, 25 წლის მაეგაშირას იოკოძუნასთან აქამდე არასოდეს უჭიდავია.

ხაკუხო ახლახან ავიდა სუმოს უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე. იქამდე იქ მხოლოდ ასასიორუ იდგა, ეს მონღოლი და ასასეკირიუ კი სუმოს ერთ სკოლაში ვარჯიშობენ და მათი ერთმანეთთან დაპირისპირება მხოლოდ სუპერფინალშია ნებადართული. ამისთვის თანასკოლელებს თხუთმეტტურა ბაშო თანალიდერობით უნდა დაესრულებინათ. ასე კი არ ხდებოდა.

გაოძეკების არაოფიციალურმა კანდიდატმა კოტომიცუკიმ მოგებათა სერია კომუსუბი ტოკიტენკუსთან გააგრძელა. თან ისე იოლად იმარჯვა, გულშემატკივრებს ანერვიულებაც არ დააცალა.

ხუთქულიან პირველკაცებს კვალში ყველაზე ახლოს იოკოძუნა ასასიორუ, ოძეკები კაიო და კოტოოსიუ და რიგითი მაეგაშირები ხომასიო და ტოიოხიბიკი უდგანან. ამ კვინტეტს ივლისის ბაშოზე აქამდე მხოლოდ თითოჯერ დაუცდა ფეხი.

მეოთხე ქულები კაიომ და კოტოოსიუმ თავისზე ბევრად პატარა ტანის სუმოტორებთან ჭიდილში მიითვალეს. 170-კილოგრამიანმა ვეტერანმა უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ყველაზე პატარა დევს, 125-კილოგრამიან ამას კუდით ქვა ასროლინა, ხოლო 203-სანტიმეტრიანმა „ბალკანელმა გულივერმა“ თავისზე 35 სანტიმეტრით დაბალი ექსკომუსუბი ტოინოსიმა გადათელა.

დღეს ამას კოტომიცუკი დაეჭიდება, ხაკუხოს — ტაკამისაკარი, ხოლო ასასიორუს პირისპირ ტოინოსიმა დადგება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# 6 სეზონში 110 000 000 რაშარდი გაარისტოკრატდა



110 მილიონი 6 სეზონში! რას იტყვით ასეთ კონტრაქტზე? ნუ იფიქრებთ, რომ რომელიღაც თავგანწირულმა გუნდმა ნბა-ს რომელიმე ბდღვიალა მნათობს მიართვა ხონჩით ეს მილიონები და უთხრა, ეს თქვენ, თუკი ჩვენთან თამაშს ინებებთო.

6 სეზონში 110 მილიონს მიიღებს საშუალოზე საშუალო სიკაფის ვარსკვლავი რაშარდ ლუისი, რომელიც 27 წლისაა და ნბა-ში 9-ვე სეზონი „სიეტლ სუპერსონიქსში" უთამაშია. სწორედ ასეთი კონტრაქტი გააფორმა ამ ლუისმა „ორლანდო მეჯიქთან", რომელმაც სიგიჟესთან მიახლოებული ნაბიჯი გადადგა.

„კარგად ჟღერს, 110 მილიონი!" — ამბობს ლუისი და ამ ციფრის წარმოთქმითაც კი ნეტარებს. ძველ გუნდ „სიეტლში" ის ასეთ ჯამაგირზე ვერც იოცნებებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელებმა პაპასი დაიწუნეს, პაპასმა ამერიკელები



**მოსკოვის** ცსკა-ს 30 წლის ბერძენი ლიდერი თეოდოროს პაპალუკასი ალბათ ისევ რუსეთში დარჩება. არადა, იყო საუბარი, რომ მას კარიერის ოკეანგაღმა გაგრძელება სურდა. ახლა ის ამბობს, ჩემთვის ნბა-ს არც ერთ გუნდს არ შემოუთავაზებია დამაკმაყოფილებელი პირობებიო.

„მესმოდა, რომ ჩემით ნბა-ს რიგი კლუბები იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ არც ერთს არ შემოუთავაზებია ღირებული პირობები. მხოლოდ ორი გუნდი აწარმოებდა ჩემთან სერიოზულ მოლაპარაკებას, მაგრამ ის გუნდები არ იყვნენ, რომლებიც მაწყობდა. ვიცი, რომ „დალასი", „ლეიკერსი" და „ჩიკაგო" იხილავდნენ ჩემს კანდიდატურას. მაგრამ ისინი არც დამლაპარაკებიან. ჩანს, არ ვჭირდები ან თავს ჩემი აყვანის უფლებას ვერ აძლევენ" — ამბობს ევროლიგის საუკეთესო მოთამაშე.

პაპალუკასი ალბათ ისევ ცსკა-ში დარჩება, სამწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და თითო სეზონში სამ მილიონ ევროს მიიღებს.

**ქოტე ყორშია**

# ჩონსი დეტროიტში დარჩა



**2006 წლის** ზაფხულზე „დეტროიტ პისტონზმა" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დაკარგა, კონტრაქტდამველებულ ბენ ვოლესს გუნდის შეფებმა იმდენი ვერ შესთავაზეს, რომ მისი გონებიდან სხვა გუნდში გადასვლის ფიქრი ამოეგდოთ — 4 სეზონში 50 მილიონი შეაძლიეს. „დეტროიტის" კონკურენტი „ჩიკაგო ბულზი" კი „ბიგ ბენს" 4 სეზონში 60 მილიონს შეჰპირდა და ამანაც ყოფილ გუნდს ქვა მიაგორა.

ამ უსიამო ამბიდან ერთი წლის თავზე „დეტროიტის" კიდევ ერთი ლიდერი, კაპიტანი ჩონსი ბილაფსი აღმოჩნდა დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში. ის თავისუფალი აგენტი გახდა და შეეძლო, საკუთარი ნებით წასულიყო, სადაც კი მოესურვებოდა, მაგრამ ამჯერად „პისტონზის" პრეზიდენტმა ჯო დუმარსმა იმდენი შეაძლია, რომ ბილაფსს თუ ძველ გუნდთან რაიმე სეპარატისტული ფიქრები უქროდა, უცებ გაეფანტა. ნბა-მ 11 ივლისს ახალი კონდრაქტების დადების ოფიციალური ნებართვა გასცა და „დეტროიტმა" და ჩონსი ბილაფსმა ეს 5-წლიანი და 60-მილიონიანი ხელშეკრულების გაფორმებით აღნიშნეს.

„ჩვენი მთავარი ამოცანა ამ სეზონისთაშორის პერიოდში ჩონსის გუნდში დატოვება იყო. როგორც ხედავთ, ეს საკითხი მოგვარებულია და ახლა შეგვიძლია, სხვა მიმართულები ვიმუშავოთ" — ამბობს ჯო დუმასი, რომელიც 90-იან წლებში თავად გახლდათ „პისტონზის" კაპიტანი და წინამძღოლი.

30 წლის ჩონსი ბილაფსს 5 სეზონი აქვს დეტროიტში" მოლეული და მისი გუნდი ხუთჯერვე სულ მცირე აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში გავიდა. 2004 წელს „პისტონსმა" კლუბის ისტორიაში მესამედ მოიგო პლეი ოფის ფინალი, ბილაფსი კი ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელდა.

# პორტლენდს ფრენსისი გაუფრინდა

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი" ძირფესვიანად იცვლება. ბოლო წლებში ეს აუტსაიდერებში ჩაწერილი გუნდი სრულიად განახლებული და ამბიციებმოძალებული შეხვდება მომავალ სეზონს. „პორტლენდის" სიახლე მხოლოდ დრაფტზე გრეგ ოდენის პირველ ნომრად აყვანა არაა. ოდენი უნიჭიერესი მოთამაშეა და მას მომავალი ათი წელი გუნდის ხერხემლად მოიაზრებენ. მაგრამ ორეგონულ გუნდში ოდენის გარდაც ბევრი ისეთი ითამაშებს, ვინც წინა სეზონში იქ არ იყო.

დრაფტზე ოდენის აყვანის შემდეგ „პორტლენდმა" „ნიუ იორკთან" ვაჭრობა გააჩაღა და ხმაურიანი გაცვლა გაჩარხა — იქით გაუშვა გუნდის ლიდერი, საუკეთესო ბომბარდირი და მომხსნელი ზაკ რენდოლფი და მას ხურდად გააყოლა დან დიკაუ და ფრედ ჯონსი, სანაცვლოდ კი „ნიუ იორკიდან" მიიღო გამთამაშებელი სტივ ფრენსისი და სათადარიგო თავდამსხმელი ჩანინგ ფრაი.

„ბლეიზერსის" თავკაცი ნეიტ მაკმილანი ფრენსისს ძირითად გამთამაშებლად გამწესებას უპირებდა, მაგრამ ახლა ამ ამპლუის სხვა მოთამაშის მოძებნა მოუწევს, რაკილა ფრენსისმა არ ისურვა „პორტლენდში" გაჩერება, აქაოდა, სანამ ეგენი ნამდვილ გუნდად იქცევიან, იქამდე ვერ მოვიცდი და უნდა გამიშვათო. ფრენსისს „ნიუ იორკთან" მოქმედი კონტრაქტიდან ორ სეზონში 35 მილიონი ჰქონდა ასაღები (ამის მეოთხედსაც არ იმსახურებდა, თუ სიმართლე გნებავთ) „პორტლენდში" რომ გადავიდა, ცხადია, კონტრაქტიც გადაჰყვა, მაგრამ მან და ახალმა კლუბმა გააუქმეს, ხოლო ფრენსისმა რამდენი მიიღო კომპენსაციის სახით, ეს მხარეებს არ გაუმხელიათ.

30 წლის ფრენსისი 1999 წლიდანაა ნბა-ში და მისი მოსვლა ყველას ახსოვს. მაშინ ის მეორე ნომრად აირჩია კანადურმა „ვანკუვერ გრიზლიზმა", მაგრამ მან ერთი ამბავი ატეხა, ნბა-ს მაგ ციმბირში ძალითაც ვერ ჩამიყვანთო და კლუბი იძულებული გახდა, „ჰიუსტონისთვის" დაეთმო. „ჰიუსტონში" კი გაბრწყინდა ამ აშარი ჯეელის საკალათბურთო ნიჭი — 1999-2000 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს ელტონ ბრენდთან ერთად. მან „ჰიუსტონი" სამჯერ წარადგინა ოლ სტარზე, მერე „ორლანდოში" გადავიდა და აქედან დაიწყო მისი დაღმასვლა.

ბოლო ორი წელი სტივ ფრენსისმა მისებრ დიდგულა ვარსკვლავის სტივ მარბერის გვერდით გაატარა „ნიუ იორკ ნიქსში", სადაც სულ ჩაფლავდა — 11,3 ქულა საშუალოდ თამაშში. მას არასდროს ეხატებოდა გულზე მწვრთნელი აიზია ტომასი და ამას არც მალავდა. რამდენჯერმე დემონსტრაციულად დაუტოვებია ვარჯიში. ახლა ეს ფრენსისი „პორტლენდში" თამაშსაც უარობს. ხმები დაირხა, მასზე „დალასი" და „მაიამი" ნადირობენო და „პორტლენდს" როგორ გაუყადრებს თავს...

„ბლეიზერსის" მწვრთნელ ნეიტ მაკმილანს კი ისლა დარჩენია, ახალი გამთამაშებელი ეძებოს, ან ძველს, ჯარეტ ჯეკს ანდოს ადგილი დამწყებ ხუთეულში. არადა ეს უკანასკნელი სათადარიგოობას ძლივს გასწვდება.

**ქოტე ყორშია**



**E ჯგუფი**
**პოლონეთი 3:2 საფრანგეთი**
**38:36 19:25 21:25 25:21 15:11**

**F ჯგუფი**
**ბულგარეთი 3:2 ბრაზილია**
**21:25 25:20 21:25 25:23 15:12**

## მსოფლიო ლიგა. კაცები. ფინალური ეტაპი
## კატოვიცე. პოლონეთი. 11–15 ივლისი

# კატოვიცეში ბრაზილია დაეცა

**პოლონეთის** ქალაქ კატოვიცეში სენსაციურად დაიწყო კაც ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის ფინალური ეტაპი, რომლის მონაწილე ექვსი ნაკრებიც ორ — E და F ჯგუფად არის დაყოფილი.

E ჯგუფში მასპინძელი პოლონეთი, საფრანგეთი და აშშ მოხვდნენ, ხოლო F ჯგუფში — ბრაზილია, ბულგარეთი და რუსეთი. ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში გადის და მერე შეჯიბრი, უკვე ოლიმპიური, ანუ პლეი ოფის სისტემით გაგრძელდება.

სენსაცია კი ბრაზილიისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრაში მოხდა. ბრაზილია უპირობო ფავორიტია — ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიო ლიგის ექვსგზის, მათ შორის ბოლო ოთხი გათამაშების გამარჯვებული, მაგრამ გახსნის მატჩში ლათინოსები ვერაფერს გახდნენ ბულგარელებთან, რომელთა რიგებშიც კაზიისკი და იორდანოვი ბრწყინავდნენ.

არადა, ბრაზილიელებს ორჯერ მიჰყავდათ ანგარიში. მათ პირველი და მესამე პარტიები მოიგეს, მაგრამ სლავებმა ორჯერვე აღადგინეს თანაფარდობა და მეხუთე, შემოკლებულ პარტიაში საბოლოოდ გატეხეს მეტოქის წინააღმდეგობა. ასე რომ, საიმისოდ, ზედიზედ მეხუთედ რომ მოიგონ მსოფლიოს ლიგა, ბრაზილიელებს ერთი გზაღა დარჩათ — დღეს აუცილებლად უნდა დაჯაბნონ რუსები.

არანაკლებ დრამატული გამოდგა E ჯგუფის გუნდების პირველი მატჩიც. ტრიბუნებზე შეკრებილი ათასობით ქომაგის ყიჟინით გამხნევებულმა პოლონელებმა პირველი სეტი 38:36 მოუგეს ფრანგებს, მაგრამ მეტოქე ვერ გატეხეს, შემდეგი ორი პარტია წააგეს და მარცხის საშიშროების წინაშე დადგნენ. მასპინძლებმა მაინც იძალეს — მეოთხე სეტში ანგარიში გაათანაბრეს და ტაი ბრეიკზე კი 15:11 აჯობეს მეტოქეს.

# ეს მოსათმენი აღარ არის: ჰერბერტი დარჩა არისს!



ბესიკ ლიპარტელიანი და გორდონ ჰერბერტი

დასაწყისი პირველ გვერდზე

**ბესიკ ლიპარტელიანი:**

— ჩვენ წინააღმდეგნი არ წავსულვართ. ჰერბერტს ვუთხარით, კლუბში იმუშავებთ თუ არა, ეს თქვენი პირადი საქმეა, ოღონდ ჩვენ ერთი პირობა გვაქვს: შეკრებაზე პირველივე დღიდან უნდა იყოთ და ჩვენი ნაკრები საკვალიფიკაციო მატჩების დასრულებამდე არ უნდა დატოვოთ-მეთქი. ამას ვერ შევძლებო, გვითხრა მან და ჩვენც გადავწყვიტეთ, მისი ადგილი კიმ შილდსს დაეკავებინა.

**— ასეთ დროს, როცა ნაკრების კანდიდატთა შერჩევა უკვე დაიწყო, ჰერბერტისგან ასეთი ნაბიჯი ღალატის ტოლფასი არაა?**

— ჰერბერტი შარშანაც ასე მოიქცა, როცა „პო ორტეზთან" გააფორმა კონტრაქტი, მაგრამ მაშინ ჩვენ იმ დათმობაზე წავედით, რომ ნაკრების შეკრებიდან რამდენიმე დღით გავათავისუფლეთ, რათა ახალ კლუბში მისულიყო.

**— შარშან თუ წახვედით დათმობაზე, წლეულს რა შეიცვალა?**

— შარშან სხვა გზა არ გვქონდა, შეკრება უკვე კარზე იყო მომდგარი და ახალ მწვრთნელს ვეღარ მოვძებნიდით. კიმ შილდსი, რომელიც ჰერბერტზე არანაკლებ ძლიერი და გაცილებით გამოცდილი მწვრთნელია, იაპონიის ნაკრებში იყო დაკავებული და ჩვენს გუნდში ვერ ითავსებდა. რა თქმა უნდა, ისეთი მწვრთნელი ჯობს, რომელიც სულ ნაკრებთან იქნება. ახლა შილდსი თავისუფალია და ჩვენს წინადადებას დათანხმდა.

**— ჰერბერტს ასეთ დროს კლუბთან კონტრაქტის გაფორმება შეეძლო? თქვენთან როგორ იყო შეთანხმებული?**

— კონტრაქტით მას ამის გაკეთება შეეძლო. ჩვენ მას ვერანაირად ვერ შევუშლიდით ხელს. თუ გახსოვთ, შარშან ჰერბერტმა ჯერ ტრაიანოს კანდიდატურა შემოგვთავაზა, მე „პო ორტეზში" მივდივარ და თუ გინდათ, ის იმუშავებს საქართველოს ნაკრებში ჩემს მაგივრადო. ჩვენ არ ვიცნობდით ტრაიანოს და უარი ვთქვით, ხოლო კიმ შილდსს, როგორც ვთქვი, არ ეცალა.

**— შილდსთან უკვე მოილაპარაკეთ?**

— რა თქმა უნდა. კონტრაქტი არ დარღვეულა და ახალი არ გაფორმებულა. ხელშეკრულება თავიდანვე ისე იყო შედგენილი, რომ მწვრთნელთა სტატუსების შეცვლას თავისთავად ითვალისწინებდა. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ რაც ახლა მოხდა, ამის ალბათობას თავიდანვე ვუშვებდით. ჩვენ ჰერბერტზე ნაწყენები არ ვართ და მასთან ურთიერთობასაც არ ვწყვეტთ. მან თავიდანვე გვითხრა, რომ შეიძლებოდა, კლუბში ემუშავა, თუ კარგ პირობებს შესთავაზებდნენ. ის იქნება კიმ შილდსის ასისტენტი და გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს მეტოქეების დაზვერვასა და მათზე ინფორმაციის შეგროვებაში.

**— გამოდის, ჰერბერტის ის შეკრება, რომელიც მან 2-დან 4 ივლისამდე ჩაატარა დილმის ბაზაზე, წყალშია ჩაყრილი. შილდსმა თავად არ უნდა შეარჩიოს ნაკრების კანდიდატები?**

— შილდსმა თითოეული ქართველის შესაძლებლობა ჰერბერტზე ნაკლებად როდი იცის. თან ეს ორი სპეციალისტი ხომ ერთ გუნდშია, უბრალოდ, ადგილები გაცვალეს ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბში. ამიტომაც ჰერბერტის სამდღიან შეკრებას ფუჭად არ ჩაუვლია. გორდონის შერჩეულ ხალხთან იმუშავებს შილდსი, როცა 18 ივლისს შეკრებაზე ჩამოვა. ჰერბერტმა უკვე გამოაგზავნა იმ 16 მოთამაშის ვინაობა, რომლებიც 18 ივლისის შეკრებაზე იქნებიან. ამ 16-იდან 3 დღეში შილდსი საბოლოო, 12-კაციან შემადგენლობას შეარჩევს, გუნდს ევროპულ ტურნეში გაჰყვება და ერთი წუთითაც არ მოშორდება.

**— ჰერბერტს კიდევ 2 ასისტენტი ჰყავდა...**

— სამწვრთნელო შტაბში მხოლოდ ერთი გადაადგილება მოხდა. ჰერბერტის ადგილი შილდსმა დაიკავა — დავით უსტიაშვილი და კენი ატკისონი კვლავინდებურად მთავარი მწვრთნელის ასისტენტები იქნებიან.

**ირაკლი ბერტაია**

# არასრული გაფართოებული

## კიმ შილდსი შეკრებას დანაკლისით იწყებს



ბესიკ ლეჟავა

გორდონ ჰერბერტი უკვე აღარაა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, თუმცა მის მიერ 2-4 ივლისს ჩატარებულ შეკრებას ტყუილად არ ჩაუვლია. კანადელმა სპეციალისტმა თბილისში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეები შეკრიბა და სამი დღე ნაირგვარი ტესტები ჩაუტარა საუკეთესოთა გამოსავლენად.

ჰერბერტმა გუშინ იმ 16 მოთამაშის ვინაობა დაასახელა, რომლებიდანაც უკვე კიმ შილდსი ძირითად თორმეტეულს შეარჩევს. შარშანდელთან შედარებით, კანდიდატთა შორის ორი ახალი სახეა: თბილისურ შეკრებაზე თავგამოჩენილი ბესიკ ლეჟავა და ზვიად ბაბიაშვილი.

ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**უკანახაზელები:** ლაშა გამყრელიძე, ტაისონ ელისი, კოტე ტულუში, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ანატოლი ბოისა, ბესიკ ლეჟავა.

**ფორვარდები:** ვლადიმერ ბოისა, ზვიად ბაბიაშვილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი მარკოიშვილი.

**ცენტრები:** ზაზა ფაჩულია, დავით უგრეხელიძე, გიორგი შერმადინი.

წესით, ეს 16 მოთამაშე უნდა გამოცხადდეს 18 ივლისის შეკრებაზე, მაგრამ აქედანვე ცნობილია, რომ თბილისში ყველა მოთამაშე ვერ ჩამოვა. ტაირონ ელისმა ცოლი მოიყვანა და თბილისში კი არა, ნაკრებს ბულგარეთშიც არ გაჰყვება.

შეკრებაზე არ იქნება ასევე ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ ბოისა, რომელიც აგვისტოში შვილის შეძენას ელოდება, მანამდე კი ახალი კლუბი აქვს მოსაძებნი.

გაურკვეველია, რას იზამს ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც უგუნდოდაა და ახლა ლას ვეგასში საზაფხულო ლიგაზე ცდის ბედს. ერთი სიტყვით, უცნობია, რამდენი მოთამაშე იქნება 18 ივლისის თბილისურ შეკრებაზე. ის კი ნაღდია, რომ ახალგამომცხვარი მთავარი მწვრთნელი კიმ შილდსი შეკრების პირველივე დღიდან ნაკრებთან იქნება.

22 ივლისს შილდსმა ის მოთამაშეები უნდა დაასახელოს, რომლებსაც ერთთვიან ევროპულ შეკრებაზე წაიყვანს. ბულგარულ და პორტუგალიურ ტურნირებზე საქართველო 6 მატჩს გამართავს, ხოლო საფრანგეთში ინგლისს ნაკრებს ორჯერ ეთამაშება.

**ირაკლი ბერტაია**

## ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი

### სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

**საქართველო 78:99 ხორვატია**

**26:24 17:26 18:28 17:21**

**საქართველო:** გაფრინდაშვილი (12), ფარლალავა (18), ქოქუა (9), დიდია (10), შერმადინი (13); მათიაშვილი (10), ჯღერენაია (2), წიწნიაძე (4), გულისაშვილი, ცეკვავა

**ხორვატია:** ტომიჩი (21), დრეზგა (17), ვრკიჩი (10), ბლაჟიჩი (10), ფილიპოვიჩი (15), პაპაჩი (15), ვლაიჩი (5), პანი (6), ბუბალო, პეტკოვიჩი



# ქართველთა ტომი ტომიჩმა დაჩაგრა

**უსახურად** ჩაამთავრეს მეორე ჯგუფური ეტაპი ქართველმა ახალგაზრდებმა. მართალია, მათ უკვე გაინაღდეს A დივიზიონში დარჩენა და მთავარი მიზანიც ეს იყო, მაგრამ ხორვატიასთან 21 ქულით წაგებას გამართლება ვერანაირად ვერ ექნება.

ხორვატია არც ისეთი ხვითოა, რომ ქართველებისთვის უთუმცაო მოგება მოგვეთხოვა, მაგრამ ეს ექსიუგოსლავიური გუნდი წინა ტურში ჩვენგან ძლეულმა ბულგარეთმა ერთი ხელის გაქნევით დაამარცხა და ჩვენც ამიტომ ვიყავით ოპტიმისტურად განწყობილნი.

მეორე ჯგუფური ეტაპზე რომ დავით უსტიაშვილის გუნდს მხოლოდ მისხალი შანსი ჰქონდა, ეს თავიდანვე ცნობილი იყო. ჰოდა, ეს შანსი ხორვატია იყო, მაგრამ ქართველმა ახალგაზრდებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ბალკანელებს და პირველი მეოთხედის შემდეგ თეთრი დროშა გამოფინეს.

არადა, როგორც ყოველთვის, ჩვენებმა ხორვატებთანაც მძლავრად დაიწყეს. გიორგი გაფრინდაშვილმა და ლაშა ფარლალავამ სამქულიანებით 5-ქულიანი უპირატესობა დაუბევეს ქართველებს, მეოთხედი კი 26:24 მოვიგეთ.

მეორე ათწუთეული და ხორვატების აფეთქება ერთი იყო. ხორვატიული კალათბურთის ამომავალი ვარსკვლავი ანტე ტომიჩი ქართველთა ფარქვეშ რომ გაბატონდა, რის გიორგი შერმადინი, ან რომელი რიჩარდ მათიაშვილი — მისი შემჩერებელი არავინ იყო. ტომიჩს სამწამიანში ხელს აშველებდა ფრანკო ფილიპოვიჩი, რაც სრულიად საკმარისი იყო საიმისოდ, რომ ხორვატებს ტაიმის ბოლოს საიმედო უპირატესობა მოეპოვებინათ — 50:43.

დიდი შესვენების შემდეგ ქართველთათვის გასახარი აღარაფერი მომხდარა. ხორვატები განუწყვეტლივ ზრდიდნენ უპირატესობას და საბოლოოდ დიდსხვაობიან გამარჯვებამდე მივიდნენ — 99:78.

შედეგად საქართველომ ჯგუფში ბოლო, ადგილი დაიკავა და ხვალიდან 9-12 ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაებმება. უსტიაშვილის გუნდი ჯერ მეორე ჯგუფში მეხუთეზე გასულ საფრანგეთს შეხვდება, მერე კი ლიტვა — ხორვატიის წყვილიდან გამოსულს შეერკინება.

**ირაკლი ბერტაია**

# სანიკიძის ლიგა უქულოდ დასრულდა

**ვიქტორ სანიკიძისთვის** ლასვეგასურ მოედანზე მესამედ გასვლა ვერ გამოდგა ფეხბედნიერი. სადებიუტო მატჩიდან მოყოლებული „ვიკა" კი აუმჯობესებდა თამაშს, მაგრამ გუშინდელ შეხვედრაში ისეთი ვერაფერი გააკეთა, მის ნბა-ში გადასვლის ალბათობას რომ გაზრდიდა.

„სან ანტონიო" „მინესოტას" შეხვდა და 68:79 დამარცხდა. საქართველოს ნაკრების ფორვარდს 8 წუთი ებოძა თავის გამოსაცდენად, მაგრამ სანიკიძემ შესამჩნევი ვერაფერი გააკეთა და სარბიელი უფრო ყოჩაღად მობურთალ ბიჭებს დაუთმო.

მოედანზე ყოფნის განმავლობაში ვიქტორმა მხოლოდ ერთხელ მოახერხა საშუალო დისტანციიდან სროლა და ვერ ჩააგდო. მის აქტივში მხოლოდ თითო მოხსნა და ჩაჭრაა.

ეს იყო „სან ანტონიოს" ბოლო მატჩი ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში. სანიკიძემ "სფურზის" ჩატარებული 5 შეხვედრიდან სამში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან საუკეთესოდ „გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ გაისარჯა — 13 წუთში 6 ქულას და 5 მოხსნას მოუყარა თავი. ამასთან მან თითო ჩაჭრა-პასიც გაახერხა.

ლას ვეგასის ტურნირი გრძელდება საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრ ნიკა ცქიტიშვილისთვის, რომელიც შედარებით წარმატებით თამაშობს „დენვერის" შემადგენლობაში. ნიკა ლიგას 15 ივლისს ამთავრებს.

**ირაკლი ბერტაია**



## გამარჯვებულნი

პორტუგალიური კასკაიშის ახლო წყლებში ქალთა ინგლინგის კლასის მსოფლიო ჩემპიონატია. გამარჯვებულნი ბრიტები არიან სარა აიტონი უკან, სარა ვები (შუაში) და პიპა უილსონი. ნახეთ, აფრა როგორ უჭირავთ.

## პიპენი ურჩევს

ჩინეთში ენბიეის ვარსკვლავთა ვიზიტი გრძელდება. პროექტი შიდსის წინაალმდეგ იბრძვის და ვარსკვლავებმა შანხაიდან პეკინში გადაინაცვლეს. ენბიელთა შორისაა ექვსგზის ჩემპიონი სკოტი პიპენიც, რომელმაც იმავდროულად საკალათბურთო საქმეების მოგვარებაც სცადა და „მილუოკი ბაქსის" მიერ არჩეულ ჩინელს იი იანლიანს ურჩია, თავისი უარისთვის გადაეხედა. ის უარი იმით ყოფილა განპირობებული, რომ მილუოკში მცირე ბაზარია და ჩინელი ფანები არ არიან.





## მხოლოდ ნამდვილი

ეს პეკინის 2008 წლის ოლიმპიადის თილისმებია. ჩინეთის მთავრობა ყველას აფრთხილებს, რომ ნაყალბევი სუვენირების შეძენისგან თავი შეიკავოს, რადგან ისინი ტოქსიკური მასალისგან მზადდება და ბავშვისთვის მათით თამაში, საზიანოა. ყალბისმქნელებს ციხე ელით.



## ოლ სტარის მოლოდინში

სან ფრანცისკოში ბეისბოლის 78-ე ოლ სტარის უიქენდი ახლოვდება. ძველი ლეგენდა უილი მეისი ძველსავე მანქანაზე დაუსვამთ და საპატიო წრე ისე შემოუტარებიათ. ქალაქში კი უკვე განთქმული ხალხი იყრის თავს: ოლ სტარში არჩეული „იანკი" ალექს როდრიგესი თავის ცოლ ცინტიასთან ერთად ჩამოსულა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აზალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge